# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 7 ოქტომბერი, 2008 წელი.

№ 188 (6046)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



რა მოხდა ცხინვალში?

## აფეთქება „სამშვიდობო ჯარების“ შტაბთან

7



ბორის სოკოლოვი:

2

ვიდრე რუსეთში ხელისუფლება და წყობა არ შეიცვლება, მანამდე რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე უარის თქმა, არარეალურია

## რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები

3

რა არის ნათქვამი ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში



## ალუვსებელი სანყაული,

ანუ ამაოება ამაოთა

5

გიორგი ხუციშვილი:

## საზოგადოებრიობამ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დასვას

6



## დანაღმული ენგურჰესი

ენგურის წყალსაცავთან რუსი სამშვიდობოებისა და ევროკავშირის დამკვირვებლების მისიის ერთობლივი კოლონის გადაადგილებისას გზაზე ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა.

ამის შესახებ აფხაზეთში დისლოცირებული რუსი სამშვიდობოების სარდლის თანაშემწემ ალექსანდრე ნოვიცკიმ განაცხადა.

ნოვიცკის განცხადებით, აფეთქების შედეგად არავინ დაზარალებულა. კოლონაში რუსი სამშვიდობოების ჯავშანტრანსპორტიორი, ორი ავტომობილი და ევროკავშირის დამკვირვებელთა ასევე ორი ავტომობილი შედიოდა.

— კოლონა საქართველოს ტერიტორიიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის გეგმის შესაბამის დავალებას ასრულებდა. ევროკავშირის სამხედრო დამკვირვებლები გასვლის სამზადისის მონიტორინგს ახორციელებენ, — განაცხადა ნოვიცკიმ.

ინტერპრესნიუსი



7

## დაკარგულია 500 მილიონი...

## ქართულფორმიანი რუსები ქართველებსაც არბევდნენ და ოსებსაც

11

⦿ ბრიფინგი

# ევროსაბჭოს რეზოლუციის მე-5 პუნქტის თანახმად, ომი საქართველოს ხელისუფლებას დაუწყია

**ევროსაბჭოს რეზოლუციის „საქართველო-რუსეთის შორის ომის შედეგების“ შესახებ „თბილისი მარიოტში“ ბრიფინგი გამართეს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილმა წევრებმა ფიქრია ჩიხრაძემ და ლევან ბერძენიშვილმა. მათ ხაზი გაუსვეს რეზოლუციის მე-5 პუნქტს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველომ გამოიყენა შეიარაღება, წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეიჭრა ცხინვალში და გადაჭარბებული ზომები გამოიყენა საქართველოს მოქალაქეების, სამოქალაქო პირების მიმართ; რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საქართველომ გადაუხვია კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზას და ომი დაიწყო.**



მართალია, მე-6 პუნქტში ლაპარაკია რუსეთის მხრიდან გადაჭარბებულ მოქმედებაზე და რუსეთის მისამართითაც მკაცრი შენიშვნები გაკეთდა, თუმცა როგორც ევროსაბჭოს ყოფილი დეპუტატები ამბობენ, ამ ორგანიზაციას წარსულში რუსეთის შესახებ ბევრად მკაცრი გადაწყვეტილებები მიუღია ჩეჩნეთთან დაკავშირებით, მას გარკვეული პერიოდი ხმის უფლებაც კი ჩამოართვეს, თუმცა ამ ზომებმა შედეგი ვერ გამოიღო.

— ჩვენ უნდა ვიცოდეთ სიმართლე, — აღნიშნა **ფიქრია ჩიხრაძემ,** — მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები რეზოლუციას პოზიტიურად მიიჩნევენ და მის ტექსტზე აღფრთოვანებით საუბრობენ, აღმოჩნდა, რომ სასიხარულო ბევრი არაფერია, თურმე ომი საქართველოს დაუწყია და ამას ევროსაბჭო ასაბუთებს. რადგან საქართველოს დელეგაციამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა, ამ ფაქტს ისინიც ეთანხმებიან, — ამბობს ფიქრია ჩიხრაძე და ეჭვს გამოთქვამს მაპის მიღების პერსპექტივაზე.

ბრიფინგზე კიდევ ერთხელ დადასტურდა ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ტერი დევისის განცხადება, რომ რუსეთმა და საქართველომ ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულება დაარღვიეს და რომ ამის გამო გაკილვას იმსახურებენ.

— არ შეიძლება გადასცე ამბავი და არ მოყვე ყველაზე მთავარი, — თქვა **ლევან ბერძენიშვილმა** იმ ქართველი ტელეჟურნალისტების მისამართით, რომლებიც ევროპაში ადევნებდნენ თვალყურს რეზოლუციის მიღების პროცესს, თუმცა მე-5 პუნქტის შესახებ საზოგადოებას არაფერი ამცნეს.

ბერძენიშვილმა ევროსაბჭოში რეზოლუციის მიღების ტექნიკურ დეტალებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, — არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, ვინ მონაწილეობდა კენჭისყრაში, სულ 120-მა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა მაშინ, როცა ჩვეულებრივ 350 დეპუტატი მაინც ესწრება ხოლმე სხდომებს. ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე მეზობლებიდან ერთადერთმა თურქეთის დელეგაციის მთელმა შემადგენლობამ მისცა ხმა საქართველოს, აზერბაიჯანელი დეპუტატები საერთოდ არ დასწრებიან, ხოლო სომხეთის ერთმა დელეგატმა რუსეთს მისცა ხმა, ხოლო მეორემ — თავი შეიკავა.

ბერძენიშვილის აზრით, რუსები ევროსაბჭოში აქტიურად თანამშრომლობენ, ხოლო საქართველოს დელეგაციას ასეთი კავშირები არა აქვს. მეტიც, ევროსაბჭოში ჩვენი დეპუტატები იმის გამო ვერ გამოვიდნენ, რომ წინასწარ ჩაწერაზე დაიგვიანეს. ევროსაბჭოს მუდმივმოქმედი დეპუტატის ზურაბ ჭიაბერაშვილის მუშაობით უკმაყოფილო ყოფილმა დეპუტატმა ლევან ბერძენიშვილმა დარწმუნებულმა თქვა, ევროსაბჭოში ჩვენ ვიქნებით მომავალი დელეგატებიო.

**ნია ფიფია**

⦿ მთავარი დამნაშავე სტალინი ყოფილა

# ხელისუფლება ჯავრს ძეგლებზე იყრის



**„ეს ხელისუფლება „შურისძიებას“ ძეგლებზე აპირებს, — ასე დაიწყო ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საგანგებო ბრიფინგი, სადაც მან, როგორც ყოველთვის, რეჟიმი მკაცრად გააკრიტიკა და სააკაშვილს გადადგომისკენ „მოუწოდა“.**

— აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის შემდეგ, — განაგრძო შალვა ნათელაშვილმა, — მიხეილ სააკაშვილს გორის ცენტრალურ მოედანზე აღმართული სტალინის ძეგლი „გაახსენდა“, რომელსაც ცხინვალის მოვლენებში მთავარ დამნაშავედ მოიაზრებს და აპირებს იგი სადმე სხვაგან გადაიტანოს. რამდენადაც ვიცი, ოკუპაციის მუზეუმებში გადააქვთო.

— ე.წ. პრეზიდენტ სააკაშვილს მოვუწოდებთ, რომ თავი დაანებოს საკუთარი შეცდომებისა თუ დანაშაულებრივი ქმედებების ძეგლებისთვის გადაბრალებას, ხელისუფლებიდან მშვიდობიანად წასვლის გრაფიკი შეადგინოს და ძალაუფლება ქართველ ხალხს დაუბრუნოს, — დაასკვნა ნათელაშვილმა.

**ჯაბა ჟვანია**

⦿ რუსი პოლიტოლოგი

**ბორის სოკოლოვი რუსეთ-საქართველოს შორის აგვისტოში დაწყებულ ომამდე რუსეთის სახელმწიფო სოციალური უნივერსიტეტის პროფესორი იყო. 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე მან თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე გამოთქვა.**

**მისი სტატიის დაბეჭდვა „გაზეტას“ მთავარი რედაქტორის დათხოვნის მიზეზი გახდა. ბორის სოკოლოვი კი სამუშაოდან, ანუ უნივერსიტეტიდან, რექტორატზე ხელისუფლების ზეწოლის გამო გაანთავისუფლეს.**

**სოკოლოვის განმარტებით, უნივერსიტეტიდან მისი გაშვება უნივერსიტეტის რექტორს ვასილ ჟუკოვს, პრეზიდენტ მედვედევის ადმინისტრაციიდან დარეკილმა ზარმა კატეგორიულად მოითხოვა. ამის შესახებ მას რექტორმა დეკანის საშუალებით აცნობა. დეკანმა კოლეგა პროფესორ ბორის სოკოლოვს გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერა ნებაყოფლობით სთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული იქნებოდა თავად მიეღო გადაწყვეტილება მისი სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. სოკოლოვმა კოლეგას ანგარიში გაუწია და სამუშაოდან წასვლის შესახებ განცხადება თავად დაწერა.**

**"სამუშაოს დაკარგვაზე მეტად იმას განვიცდი, რომ 8 აგვისტოს შემდეგ რუსეთი სულ უფრო სწრაფად და მიზანმიმართულად ბრუნდება საბჭოთა ეპოქაში. ბევრს კი ჰქონდა იმედი, რომ „მედვედევის დათბობების“ დრო დადგებოდა, მაგრამ აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენების შემდეგ ცხადი გახდა, რომ „მედვედევის ყინვები“ დაიწყო“, — აღნიშნავს უმუშევრად დარჩენილი კრემლის ოპონენტი, რუსი პროფესორი ბორის სოკოლოვი.**

**გახმაურებული სტატიის „წაგლეჯვა სუდეტურად“ ავტორს, ბორის სოკოლოვს "ინტერპრესნიუსი" საქართველოში აგვისტოში განვითარებულ მოვლენებზე, რუსეთზე დასავლეთის ზეწოლაზე, დასავლეთსა და რუსეთზე და რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობაზე ესაუბრა.**

# ბორის სოკოლოვი: ვიდრე რუსეთში ხელისუფლება და წყობა არ შეიცვლება, მანამდე რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე უარის თქმა, არარეალურია



**— ბატონო ბორის, ბევრი, მათ შორის რუსი ექსპერტი, მიიჩნევს, რომ რუსეთმა საქართველოსთან ომი თავად მოამზადა და საომარი მოქმედებებიც თავად დაიწყო, თქვენ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— მე სხვა მოსაზრება მაქვს და იგი არაერთხელ გამოვთქვი. ჩემი მოსაზრება ეფუძნება იმას, რომ რუსეთი საქართველოზე თავდასხმას მოგვიანებით გეგმავდა, მაგრამ პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავდასხმის ასაცილებლად რამდენიმე დღე მოიგო და საერთაშორისო რეაქციას დაელოდა.

პროვოკაციები სამხრეთ ოსეთში რუსეთს იმისათვის სჭირდებოდა, რომ სამხრეთ ოსეთში ქართული ჯარი შეეტყუებინა, ვინაიდან მთავარი დარტყმის მიყენება აფხაზეთში იგეგმებოდა. ქართულმა ჯარმა ცხინვალზე შეტევა მაშინ დაიწყო, როცა რუსეთის მთელი ხელმძღვანელობა მოსკოვში არ იმყოფებოდა.

პიარ-მოსაზრებებით რუსეთმა საქართველოსთვის დარტყმის მიყენება სამხრეთ ოსეთში გადაწყვიტა. ეს რუსული მხარის შეცდომა იყო, ვინაიდან ომის მიზანი სააკაშვილის ხელისუფლების დამხობა და არა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაპყრობა გახლდათ.

**— რუსეთის ხელისუფლებას ამ მიზანზე უარი არ უთქვამს, ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ განცხადებები არც მედვედევს და არც პუტინს არ გაუკეთებიათ.**

— ცხადია, რომ ამ მიზანზე კრემლს უარი არ უთქვამს. სააკაშვილის დამხობისთვის საჭირო იყო თბილისის მანამდე დაკავება, ვიდრე საქართველოში მიმდინარე პროცესებს მსოფლიო თანამეგობრობა გამოეხმაურებოდა. ამის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებების წარმოების პირობებში. სამხრეთ ოსეთიდან გამოსვლას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

**— ევროკავშირმა და ევროსაბჭომ საკმაოდ მკაცრად დაგმო რუსეთის აგრესია საქართველოზე. თქვენი აზრით, დასავლეთის მიერ მოსკოვის მოქმედებების დაგმობა რამდენად საკმარისია იმისათვის, რომ რუსეთმა უარი თქვას არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში თავის იმპერიულ ამბიციებზე?**

— ეს დამოკიდებულია რუსეთის მიმართ დასავლეთის მკაცრ მოქმედებებზე. დასავლეთის მხრიდან მოსკოვის მიმართ გატარებული მკაცრი პოლიტიკის შემთხვევაში, რუსეთი იძულებული იქნება უარი თქვას თავის იმპერიულ ზრახვებზე.

ჩემი აზრით, იმპერიული პოლიტიკის გატარებისათვის რუსეთის შესაძლებლობები საკმაოდ მწირეა. მე არა მგონია, რომ რუსეთი შეძლებს ყირიმისა და უკრაინის დაპყრობას.

**— ევროპის საბჭოს ასამბლეამ თავის მიღებულ გადაწყვეტილებაში რუსეთი დაავალდებულა უარი თქვას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაუშვას ევროკავშირის დამკვირებლები და თავადვე გამოასწოროს ამ რეგიონებში ჩატარებული ეთნოწმენდის შედეგები. რამდენად სავარაუდოა, რომ მოსკოვმა უარი თქვას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე?**

— ევროპის საბჭოს არ შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს რუსეთის პოლიტიკაზე. კრემლის პოლიტიკაზე სერიოზული გავლენის მოხდენა ევროკავშირსა და ნატოს შეუძლიათ.

ვიდრე რუსეთში ხელისუფლება და წყობა არ შეიცვლება, მანამდე რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე უარის თქმა, არარეალურია.

**— ის, რაც ახლა ხდება რუსეთის ეკონომიკაში, რამდენად უკავშირდება საქართველოში აგვისტოში განვითარებულ მოვლენებს?**

— ეს, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე. ის, რომ რუსეთიდან დასავლური კაპიტალი გარბის, უდავოა, რომ რუსეთ-საქართველოს ომს უკავშირდება.

**— როგორ განვითარდება რუსეთ-ევროკავშირისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები?**

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მრავალი წლით გაიყინება. რაც შეეხება რუსეთის ევროკავშირთან და აშშ-სთან ურთიერთობებს, არსებობს ამ ურთიერთობების განვითარების სხვადასხვა სცენარი, მაგრამ ძნელია იმის თქმა, თუ რომელი სცენარით განვითარდება მოვლენები. ეს დამოკიდებულია რუსეთის და არა დასავლეთის მოქმედებაზე.

დასავლეთი რუსეთს ეკონომიკურ სანქციებს არ დაუწესებს, მაგრამ დასავლეთში მყოფ რუსეთის კაპიტალზე შეტევები მოსალოდნელია. არ გამოვრიცხავ, რომ დასავლეთმა ამ კაპიტალის წარმომავლობის შესწავლა დაიწყოს. მიმაჩნია, რომ ამ კაპიტალის წარმოშობა ყოველთვის სუფთა არაა.

**— ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთის მოსახლეობის 80 პროცენტი მხარს უჭერს მედვედევ-პუტინისა თუ პუტინ-მედვედევის ნეოიმპერიალისტურ პოლიტიკას, რატომ?**

— უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ რუსეთში პრაქტიკულად ტოტალიტარული პროპაგანდაა. მეორე გარემოება ისაა, რომ მოსახლეობას ყოველთვის სიამოვნებს ჩათვალოს, რომ მათ პრობლემებში საგარეო მტრები არიან დამნაშავე და არა თავად ისინი.

**— მიუხედავად ამისა, რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ რუსული საზოგადოების აზრი და განწყობა კრემლის სტრატეგების შეხედულებებს არ დაემთხვევა?**

— რუსეთის საზოგადოების შეხედულებებში ცვლილებებს უახლოეს ხანებში არ ველი. ამისათვის საჭიროა მწვავე ეკონომიკური კრიზისი და რევოლუცია.

**— რუსეთში უკვე არსებობს „დაუნდობელი და უაზრო“ რუსული რევოლუციისათვის წინაპირობები?**

— არ ვიცი. კრიზისი მგონი დაწყებულია, ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

**კობა ბენდელიანი,**
**ინტერპრესნიუსი**

# რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები

## ევროსაბჭოს მიერ საქართველო-რუსეთის ომის შესახებ მიღებული რეზოლუცია

1. საპარლამენტო ასამბლეა მტკიცედ იცავს ევროსაბჭოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრინციპებსა და მშვიდობის აქტს. ეს პრინციპები: დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონმდებლობის დაცვა. უმაღლესმა ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის საზღვრების სიმტკიცე. ამ პრინციპების შესრულება სავალდებულოა ევროსაბჭოში შემავალი ყველა სახელმწიფოსთვის.

2. როდესაც რუსეთი და საქართველო შედიოდნენ ევროსაბჭოში, მათ აიღეს ვალდებულება, გადაეწყვიტათ ყველა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით და დაეცვათ საერთაშორისო სამართლის ნორმები.

3. ასამბლეა ამხელს ორგანიზაციის ორ წევრ ქვეყანას ომის დაწყებასა და ადამიანებისათვის ზიანის მიყენებაში.

4. ასამბლეისათვის ცნობილია, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს დაწყებული ომი, რომელიც მოულოდნელი აღმოჩნდა მისი წევრი ქვეყნების უმეტესობისათვის, იყო ბოლო დროს არსებული სერიოზული დაძაბულობის ესკალაციის შედეგი, რომელიც გამოწვეული იყო პროვოკაციებით და სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესებით. დაძაბული მდგომარეობის შესასუსტებლად არანაირი ზომები არ იქნა მიღებული და კონფლიქტის ორივე მხარემ სამხედრო ინტერვენცია არჩია. ეს ასამბლეისათვის მიუღებელია. მისთვის ცხადი გახდა, რომ მშვიდობისმყოფელებმა ვერ შეასრულეს დაკისრებული ფუნქცია და მისია, დაეცვათ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ქონება და სიცოცხლე, ვერ გაამართლეს. ამის გამო, ასამბლეა გამოთქვამს სინანულს, რადგან მოთხოვნები, გადაესინჯათ სამშვიდობოების ფორმატი კონფლიქტის ზონაში, რუსეთმა და სამხრეთ ოსეთმა რამდენჯერმე უარყო.

5. იმის გამო, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს, გაფრთხილების გარეშე, ქართულმა სამხედროებმა ცხინვალის დაბომბვა დაიწყეს, ანუ მოხდა ესკალაციის ახალ საფეხურზე გადასვლა, ეს ქმედება უნდა ჩაითვალოს საომარი მოქმედებების დასაწყისად. მძიმე ტექნიკისა და სამხედრო აღჭურვილობის გაზრდა, მოქალაქეებისათვის სერიოზული ზარალის შექმნა, საქართველოში შეიარაღებული ძალების არათანაბარი გამოყენება, იყო როგორც საერთაშორისო ნორმების, ასევე საქართველოს ვალდებულების, მოეგვარებინა კონფლიქტი მშვიდობიანად, დარღვევა.

6. ამავე დროს, რუსეთის საპასუხო თავდასხმა, ასევე გრძელვადიანი სამხედრო მოქმედებები ცენტრალურ და დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში, იყო პროპორციულობის პრინციპის დარღვევა, ასევე საერთაშორისო სამართლისა და ევროსაბჭოს პრინციპების დარღვევა, რომლის შესრულებაც ევალებოდა რუსეთის ფედერაციას, როგორც საბჭოს ერთ-ერთ წევრს. ეს იყო საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციის მცდელობა, რამდენადაც მან განახორციელა დარტყმები ქვეყნის ეკონომიკასა და სტარტეგიულ ინფრასტრუქტურაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირდაპირი შეტევა საქართველოს სუვერენიტეტზე, ან რუსეთის მცდელობა, მეზობელი სახელმწიფო მოექცია თავისი გავლენის ქვეშ. რაც ამავდროულად, იყო ევროსაბჭოს კანონმდებლობის დარღვევა.

7. საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, საზღვარგარეთ მოქალაქეების დაცვა - მიუღებელია და დამოკიდებულია რუსეთის პოლიტიკურ მოქმედებებზე იმ ქვეყნებთან მიმართებაში, სადაც მისი უამრავი მოქალაქე ცხოვრობს.

8. ასამბლეას სჯერა, რომ სიმართლე არის შერიგების საწინდარი. სანამ ომის დაწყების გარშემო არის დავა რუსეთსა და საქართველოს შორის, მათ მდგომარეობას საერთაშორისო გამოძიება გამოიკვლევს. საქართველოს ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ მიესალმება ასეთ საერთაშორისო გამოძიებას, რუსეთის პარლამენტის წევრებმა კი განაცხადეს, რომ ამ წინადადების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. ეს გამოძიება ძირითადად ომის დროს განვითარებულ მოვლენებს დაეთმობა, თუმცა, სპეციალისტები კონფლიქტის წინა წლებსაც დაუთმობენ ყურადღებას.

9. ასამბლეა მოითხოვს, რუსეთმა აღიაროს, რომ მისი მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა საერთაშორისო ნორმებისა და ევროსაბჭოს პრინციპების დარღვევაა. ასამბლეა მის ასეთ ნაბიჯს საქართველოს საზღვრების დარღვევად და მისი ტერიტორიის დაკავებად მიიჩნევს, ამიტომ მოითხოვს რუსეთისაგან, გააუქმოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

10. ასამბლეა განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ დე ფაქტო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება იყო რუსეთის დუმისა და ფედერაციის საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება, ისევე როგორც მათ შორის გაფორმებული უკანასკნელი შეთანხმება მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

11. ასამბლეა ორივე მხარეს ადანაშაულებს ომის დროს ადამიანთა უფლებების დარღვევაში, რაც გულისხმობს მოქალაქეების ხოცვასა თუ დაჭრას, ასევე საკუთრების განადგურებას. ასევე სამხედრო ძალისა თუ ტექნიკის გამოყენებას დასახლებულ პუნქტებში როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მხრიდან. სწორედ ამ დროს ხდებოდა კრიმინალური ფაქტები, რაც აუცილებლად გამოძიებული უნდა იქნეს.

12. რუსეთმა, როგორც ჩანს, არ შეასრულა მოვალეობა, აღეკვეთა ძარცვის ფაქტები, ყოფილიყო კანონმორჩილი და დაეცვა მოქალაქეთა საკუთრება მისი ჯარების მიერ კონტროლირებად დე ფაქტო რეგიონების ტერიტორიაზე. ეს ვალდებულება რუსეთს 1997 წელს მიღებული კონვენციის თანახმად დაეკისრა. ამის გათვალისწინებით, დე ფაქტო ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის მთელ პასუხისმგებლობას ასამბლეა რუსეთს აკისრებს. ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის სასამართლოში ამავე ფაქტების გამო მოითხოვენ, დადგეს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხიც.

13. ასამბლეა განსაკუთრებით ხაზს უსვამს ეთნიკური წმენდის ფაქტებს სამხრეთ ოსეთში, ქართულ სოფლებსა და ე.წ. ბუფერულ ზონებში. ამას ყველაფერს რეგულარული სამხედროები და ცალკეული დაჯგუფებები ჩადიოდნენ. ასეთი ფაქტები ხდებოდა 12 აგვისტოს, ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების ხელისმოწერის შემდეგაც, რაც დღემდე გრძელდება.

14. უამრავი დახოცილი თუ დაჭრილი ადამიანი დიდი კამათის საგნად იქცა. უკანასკნელი დამოუკიდებელი მონაცემების მიხედვით, 300 ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით, 500 დაიჭრა სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის, ხოლო 364 დაიღუპა და 2 234 დაიჭრა საქართველოს მხრიდან. ეს რიცხვები გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე რუსეთის მიერ გამოქვეყნებული. ამ კონფლიქტის პერიოდში დაკარგულად 54 ადამიანი ითვლება საქართველოდან, სამხრეთ ოსეთიდან კი - 6. წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოება ახლაც აგრძელებს დაკარგულთა ოჯახებიდან მათ საპოვნელად თხოვნის მიღებას.

15. ომის შედეგად 192 000 ადამიანი იძულებით გადასახლებულია. ასამბლეა აცხადებს, რომ 131 000 დევნილი %25 000 - სამხრეთ ოსეთიდან და 6 000 აფხაზეთიდანძ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს ვერ დაუბრუნდება. ისინი, სავარაუდოდ, მიემატებიან იმ 222 000 ადამიანს, ვინც 1990-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ არის იძულებით გადაადგილებული.

16. ასამბლეა მიესალმება ევროსაბჭოს დამკვირვებელთა მისიას, რომელიც საქართველოში 2008 წლის აგვისტოსა და სექტემბერში იმყოფებოდა და მონაწილეობა მიიღო ტყვეების გაცვლის პროგრამაში. ასევე შეიმუშავეს 6 პუნქტი, რომლის შესრულებაც აუცილებელი იყო ადამიანის უფლებების დაცვისათვის. ასამბლეა იზიარებს ამ 6-ვე პუნქტს.

17. ასამბლეა მიესალმება ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეკრებას 24 სექტემბერს.

18. ასამბლეა მიესალმება ევროკავშირის, საფრანგეთის პრეზიდენტის მეთაურობით, აქტიურობას კონფლიქტის დარეგულირების საკითხში. ასამბლეა მოუწოდებს ევროკავშირს, გააძლიეროს დამკვირვებელთა მისია ამ ტერიტორიაზე, და ანიჭებს მას არა მხოლოდ მონიტორინგის რესურსებსა და მანდატს, არამედ უფლებას, დაიცვას მოქალაქეები და მათი საკუთრება. ასევე მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენაში, რაც აუცილებლად უნდა განახორციელოს ქართულმა პოლიციამ.

19. ასამბლეა ასევე მიესალმება თურქეთის მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებას, ჩამოყალიბდეს კავკასიის სტაბილურობისა და ურთიერთთანამშრომლობის ტრიბუნა. ამ შემოთავაზებას ასამბლეა დამატებით და კონსტრუქციულ წინდადადებად აღიქვამს.

20. ასამბლეა მოუწოდებს რუსეთს ევროკავშირისა და ეუთოს მონიტორინგის ჯგუფების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შეშვების თაობაზე. ეს რეგიონები რუსეთის ფედერაციის დე ფაქტო კონტროლს ექვემდებარება. ევროკავშირის მონიტორინგის ჯგუფის ჩასვლამ შეიძლება კიდევ უფრო დიდი შედეგი მოიტანოს და ე.წ. ბუფერულ ზონებში ხელი შეუწყოს იძულებით გადაადგილებულთა უკან დაბრუნებას რუსეთის ჯარების წასვლის შემდეგ.

21. ასამბლეა ასევე მიესალმება საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამ რეგიონებისადმი გამოჩენილ დიდ ყურადღებას. ასევე მიესალმება რუსეთის ქმედებას, როდესაც მან მიიღო სამხრეთ ოსეთიდან დევნილები და საქართველოს ხელისუფლების მოქმედებებს, როდესაც მან მოახერხა სხვადასხვა რესურსების მობილიზება ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად. ასამბლეა მიიჩნევს, რომ რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება ხელს უშლის ამ რეგიონებში ჰუმანიტარული დამხარების შეტანას.

22. ამ ფაქტების გათვალისწინებით, ბიუროს სხდომის, 21-26 სექტემბერს საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიაზე მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, ევროსაბჭო საქართველოსა და რუსეთისაგან მოითხოვს:

22. 1 დაუყოვნებლივ შესრულდეს ევროკავშირის შუამდგომლობით გაფორმებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ეს განსაკუთრებით ეხება რუსეთს, რომელმაც პირველ რიგში, უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები და არ მოაწყოს პროვოკაციული აქტები სამხედრო ძალების ე.წ. ბუფერულ ზონაში დასატოვებლად.

22.2 გაეროსა და ევროკავშირის მონიტორინგის ჯგუფის წევრებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შესვლის უფლება უნდა მიეცეთ. ამავე დროს, რუსეთმა უნდა გააუქმოს ამ რეგიონების დამოუკიდებლობა.

22.3 დაწვრილებით უნდა იქნეს გამოძიებული, რა ვითარებაში, პირობებში დაიწყო ომი. ეს იქნება წინასწარი გამოძიების უპირველესი დავალება, რომელსაც ასამბლეა სრულიად ენდობა.

22.4 დაიწყოს მუშაობა საერთაშორისო სამშვიდობოთა ახალ ფორმატზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროსაბჭოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები. ეს იმისთვის, რომ რეგიონში ნამდვილი სამშვიდობო პროცესები იყოს.

22.5 მხარი დაუჭირონ 15 ოქტომბერს ჟენევაში გამართულ სხდომას, სადაც იმსჯელებენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის უსაფრთხოებაზე.

22.6 სასწრაფოდ შეწყდეს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის მსჯელობა და გადაიდგას რეალური ნაბიჯები კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად.

22.7 გატარებულ იქნეს ყველა ზომა, რათა მოქალაქეთა უფლებები დაცული იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის და ჟენევის 1949 წლის კონვენციის გათვალისწინებით, ასევე ადგილობრივი პროტოკოლით.

22.8 გამოძიებულ იქნეს ომის დროს თუ შემდგომ ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და დამნაშავეები წარდგნენ საკუთარი ქვეყნის სასამართლოს წინაშე.

22.9 კონფლიქტის ზონაში მედიის წარმომადგენლებს მიეცეთ უსაფრთხო და შეუფერხებელი მუშაობის საშუალება. ამას ითვალისწინებს 2005 წელს მიღებული ამავე ასამბლეის რეზოლუცია №1438, რომელიც ეხება პრესის თავისუფლებას და ჟურნალისტების მუშაობის პირობებს კონფლიქტურ ზონებში.

22.10 მიღებულ იქნეს ყველა ზომა სამშვიდობო რეზოლუციის შესასრულებლად. გამოყენებულ იქნეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლო, ევროპის საერთაშორისო მართლმსაჯულებისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, რათა გადაჭრილ იქნეს ამ კონფლიქტში არსებული ყველა პრობლემა. 2008 წლის 12 აგვსოტოს ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილების შესასრულებლად მიღებულ იქნეს ყველა ზომა. კონფლიქტის დროს მომხდარი ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტები განხილული იქნეს სასამართლოში.

22.11 შეუერთდნენ სამხედრო მომარაგების გადანაწილების კონვენციას.

23 - ასამბლეა კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარისაგან ანუ საქართველოს, რუსეთისა და სამხრეთ ოსეთისაგან მოითხოვს:

23.1 ყველა ზომა იქნეს მიღებული, რათა დაიცვან სამხრეთ ოსეთსა და ე.წ. ბუფერულ ზონებში მოქალაქეთა უსაფრთხოება. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას და რუსეთის ჯარებს განსაკუთრებით ევალებათ:

23.1.1 ყოველგვარი უკანონობის აღკვეთა 1907 წლის კონვენციის 43-ე მუხლის და ჟენევის 1949 წლის კონვენციის თანახმად მოხდეს.

23.1.2. ყველანაირ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას მიეცეს შეუფერხებელი მუშაობის უფლება, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ე.წ. ბუფერულ ზონაში. ყველა ორგანიზაციის უსაფრთხოება უნდა იყოს გარანტირებული, ვინც ამ რეგიონში ჰუმანიტარული მისიით ჩავა.

23.2 გაყვანილ იქნეს ყველანაირი არტილერია და გაუვნებელყოფილი - ნაღმები. ეს ეხება კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს, ვინც მათ იყენებს. საარტილერიო ტექნიკა გამოყენებული იქნეს ადამიანებისათვის საჭირო ნივთების გადასატანად.

23.3 სრულად ითანამშრომლონ საერთაშორისო მონიტორინგის ჯგუფებთან. იქნება ეს გაერო, ეუთო, ევროკავშირი, ევროსაბჭო თუ სხვა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია და მისცენ მათ რეგიონში თავისუფლად მოქმედებს საშუალება.

23.4 კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს შეუქმნან ყველა პირობა, რომ მათ შეძლონ უკან დაბრუნება, უფრო მეტიც, დაბრუნებამდე მიეცეთ მათ უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვის გარანტია. გადაანაწილონ ისინი მათი ნებასურვილის მიხედვით, ან ჩაასახლონ ლოკალურად.

23.5 დაუყოვნებლივ მოხდეს ომის დროს ჩავარდნილ მძევალთა აღიარება და გაცვლა ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნების გარეშე.

23.6 გადაწყდეს კონფლიქტის დროს დაკარგულ მოქალაქეთა პრობლემა. თუმცა, თავიდანვე ცხადი უნდა იყოს, რომ ეს იქნება ჰუმანიტარული ქმედება და არა პოლიტიკური.

23.7 ყველანაირი ზომა იქნეს მიღებული ევროსაბჭოს კომისრის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ექვსივე პუნქტის შესასრულებლად, რომელიც მიღებულ იქნა რეგიონში აგვისტოში განვითარებული მოვლენების შედეგების აღმოსაფხვრელად.

24. ასამბლეა მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა წევრ თუ დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყანას:

24.1 არ ცნონ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

24.2. კონფლიქტის ზონაში დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული დახმარება უფრო ინტენსიური გახადონ. ეს მოიცავს:

24.2.1 აღმოუჩინონ პირველადი საჭიროების დახმარება და იყოს ეს გრძელვადიანი.

24.2.2. დაეხმარონ ტანსაცმლით, საცხოვრებელი ადგილით, იზრუნონ მათ ჯანმრთელობაზე, დაეხმარონ ტრავმირებულებს და იზრუნონ მათ სიცოცხლეზე.

24.2.3. განსაკუთრებით ეს ეხებათ ბავშვებს, მოხუცებს, ავადმყოფებსა და უძლურებს.

24.3. ყურადღება გაამახვილონ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან 1990-ანი წლების კონფლიქტის დროს წამოსულ იმ 222 000 დევნილზე, რომლებიც კვლავ რჩებიან ქვეყანაში.

24.4 აღიარებულ იქნეს ეთნიკური წმენდა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც რუსეთი ან სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება აკონტროლებს.

24.5. იმის გარანტიით, რომ ეს ქვეყნები ნატოს წევრებიც არაინ, დაეხმარონ, რომ ალიანსმა მოახდინოს მათი სამხედრო გადახალისება.

24.6. დაეხმარონ დამოუკიდებელ გამოძიებას და მიაწოდონ ომის დაწყების შესახებ ყოველგვარი დეტალი თუ გარემოება, რაც მათთვის იქნება ცნობილი.

25. იმის გამო, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს მნიშვნელოვნად დაირღვა ადამიანის უფლებები, ასამბლეამ გადაწყვიტა, მოიწვიოს ბიუროს სხდომა, სადაც განხილული იქნება ამ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი და განახორციელოს მონიტორინგის ისეთი ნაბიჯები, რომ ორივე ქვეყნისათვის მისაღები იყოს.

26. ასამბლეა მოიწვევს საერთაშორისო კონფერენციას, სადაც განხილული იქნება გზები, როგორ უნდა აიცილონ ნებისმიერი კონფლიქტის დროს მხარეებმა მისი ესკალაცია.

27. ასამბლეა მოიწვევს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, რომ მიიღონ დადგენილება, სავარაუდოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისართან კონსულტაციის შემდეგ, რომელიც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის მისიას, მის მოქმედებას ხელი არ უნდა ეშლებოდეს საომარ ზონებშიც კი.

28. ასამბლეა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ასევე იწვევს ევროპის კონვენციის 52-ე მუხლის ასამოქმედებლად. განსაკუთრებით რუსეთის მიმართ, როგორ აპირებს მის იურისდიქციაში არსებულ ტერიტორიაზე ამ პუნქტის დაცვას და ასევე, ისინი მოუსმენენ საქართველოს ხელისუფლებას, რატომ გახდა აუცილებელი ომის გამოცხადება.

29. ასამბლეა იწვევს ევროსაბჭოს განვითარების ბანკს, რომ განახორციელოს საჭირო ქმედებები სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან დევნილთა და დროებით გადასახლებულთა დასახმარებლად.

30. ასამბლეა მიიჩნევს, რომ ნებისმიერი კონფლიქტის მოსაგვარებლად და სიმშვიდისათვის დიალოგი საუკეთესო გამოსავალია. გარდა ამისა, დიალოგის მოთხოვნა ორივე მხრიდან იქნება და არ მოხდება განსახორციელებელი ქმედებების იზოლაცია. ამის მიუხედავად, დიალოგისათვის ძირითადი მნიშვნელობის მქონე დებულებებს მაინც დააკვირდებიან. სამშვიდობო გეგმის ძირფესვიანად ჩამოყალიბებაში რუსეთის ჯარების გაყვანას და სტატუს-კვოს პოზოციაზე დაბრუნებას, უპირველესი მნიშვნელობა აქვს. გაეროსა და ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის კონფლიქტურ ზონებში დაშვება, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის უარყოფა რუსეთის მხრიდან იქნება პირობების მინიმუმი მნიშვნელოვანი დიალოგისას.

31. ასამბლეა გამართავს სპეციალურ საპარლამენტო სხდომას, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან რუსეთი და საქართველო. მათ შეეძლებათ, წარმოადგინონ თავიანთი მტკიცებულებები და ასევე შეეხონ მომავალი ურთიერთობის საკითხებს.

32. ასამბლეა თავისი რეზოლუციით შეეცდება კონფლიქტის პრევენციას, რადგან მშვიდობის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონების დაცვა. ის სთხოვს ბიუროს, შეიმუშაოს გარკვეული მექანიზმი, რომელიც იმოქმედებს ევროპაში ე.წ. გაყინულ კონფლიქტებზე და უზრუნველყოფს მშვიდობასა და სტაბილურობას.

**ხედვა უცხოეთიდან**

***სექტემბრის ბოლოს აშშ-ის თავდაცვის მინისტრი რობერტ გეითსი ამერიკის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა წინაშე წარსდგა და განაცხადა: „წინა თვეში საქართველოში რუსული ტანკების შეჭრა იმის შეხსენებაა, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვა და შეიარაღებული ძალების არსებობა კვლავ მნიშვნელოვანია. ამავე დროს არ არსებობს მიზეზი შეიარაღების გაძლიერებისა და რუსეთთან ცივი ომის დაწყებისა". პენტაგონის მთავარმა ძალოვანმა თქვა, ამჟერად კოალიციურ ჯარებს უფრო მეტი სამუშაო ავღანეთში ელით, ვიდრე - ერაყშიო. ლამის იმავე დღეს შორეულ რუსეთში ორენბურგის სამხედრო ველზე ყოფნისას რუსეთის მთავარსარდალმა დიმიტრი მედვედევმა სულ სხვა რამ ბრძანა: "რამოდენიმე ხნის წინათ ჩვენ იძულებული ვიყავით უკუაგვეგდო ქართული რეჟიმის მიერ გაჩაღებული აგრესია. მან უჩვენა, რომ აფეთქება უეცრად შეიძლება მოხდეს, მოხდეს რეალურად, ხოლო ლოკალური მბჟუტავი კონფლიქტები ნამდვილ საომარ ხანძრად გადაიქცეს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოში სიტუაციის რეალურ შეფასებასა და იმის გაგებას, თუ რას წარმოადგენს პოტენციური საშიშროება. რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ძალები 2020 წლისთვის მუდმივი მზადყოფნის კატეგორიაში გადავა და ფრთოსანსარაკეტო ატომური წყალქვეშა ნავების წარმოებას იწყებს". მედვედევმა ასევე განაცხადა, რომ რუსული ჯარი უნდა იყოს უფრო მობილური, მუდმივ საომარ მზარყოფნაში, თვადაცვის თუ იერიშისთვის, ეს მას არ დაუკონკრეტებია. აქ შეიძლება გაჩნდეს რუსი რეჟისორის მიხაილ თუმანიშვილის მიერ 1982 წელს ცივი ომის საუკეთესო ტრადიციებით გადაღებული პოლიტიკური ბოევიკის „ინციდენტი კვადრატ 36-80 —ში" ასოციაცია, სადაც რუსები ატლანტიკის ოკეანეში ამერიკელების ატომურ წყალქვეშა ნავს ანადგურებენ. 2000 წელს ბარენცის ზღვაში „ზვიგენის" კლასის ყველაზე ძლიერი ატომური წყალქვეშა სუბმარინა „კურსკი" ეკიპაჟთან და თავის ბალისტიკურ ტვირთთან ერთად ჩაიძირა. ომის დროს კი არა, საომარი სწავლებების დროს... ესეც პოლიტიკური ბოევიკის არამხატვრული ვერსია....***

# ნიკოლაი ზლობინი: შეიარაღება ეფექტიანი მხოლოდ მოკლე დროის პერსპექტივაშია, სტრატეგიული კუთხით კი – ნამდვილი ჩიხი



რუსეთის გენერალიტეტს ჯერ არ გაუცხადებია იმის შესახებ, რომ რუსეთში შესაქმნელი ატომური წყალქვეშა ხომალდები შავი ზღვის წიაღშიც არატურისტულად გაისეირნებენ, „სუვერენული" აფხაზეთის ნაპირებთან. თუმცა 2020 წლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და კიდევ ერთი ანდა სულაც უფრო მეტი მტერია დასამარცხებელი. თანაც, როგორც ჩანს, ამ დროისთვის კრემლის ოცნება ასულდება, მსოფლიო უკვე ბი, ტრი, კვადრო და სულაც მულტიპოლარული გახდება და მაშინ ამოქმედდება მარგინალური ქვეყნების უკვე ან ჯერ ვერ დაგეგმილი „უსაფრთხოების კონცეფცია" სახელწოდებით „ჰკა მაგას" პრინციპით – თუ სხვა ცუდადაა, ეს ჩემი კარგად ყოფნის საწინდარია და პირიქით. გლობალური ეკონომიკური კრიზისი რუსეთისა და დანარჩენი სამყაროს სამწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო, მხოლოდ აშშ-ის თავის სატკივარი სულაც არ აღმოჩნდა, ამიტომ 700 მლრ. დოლარიანი პაკეტის ბედს მსოფლიო და მათ შორის აგვისტოს ომის „მსხვერპლი" (ტრადიციული მოძალადეების - ამერიკისა და ნატოს რიგს საქართველოც შეემატა. უკრაინა სათადარიგოა.ძ რუსეთი თვალს დიდის ყურადღებითა და გულისფანცქალით ადევნებდა. არცაა გასაკვირი, რადგან გაკოტრებულ „Lemon Broiders"-ში რუსეთს 670 მლნ. დოლარის ღირებულების რეზერვები ჰქონდა. რუსეთი სასარგებლო წიაღისეულის, ნედლეულისა და იარაღის „სუპერმარკეტია" და როგორც ჩანს, ასეთად აპირებს დარჩენას. ისიც იცის, რომ ამერიკის ეკონომიკის კოლაფსი ჩინეთის, ევრაზიის ბაზრის კოლაფსის დასაწყისი იქნება და ამ ტოტალური კოლაფსებიდან რუსეთი ისეთი გამარჯვებული, როგორიც ეს აგვისტოში, 5 დღეში 300 - ჯერ მცირე ერის დამარცხებითა და ვორი ახალი სახელმწიფოს „შექმნით" შესძლო, ვერანაირად გამოვა. ბესლანელი ბავშვების ამოხოცვას, 58-ე არმიის გმირების დაჯილდოვებას და პოლიტიკას სახელწოდებით - „მოჩიტ ვ სორტირე", ტვინის გაცილებით ნაკლები ხვეულების ამოქმედებას მოითხოვს, ვიდრე დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება, საკუთარი კონკურენტუნარიანი ბრენდების, ეკონომიკისა და მისი მეტ-ნაკლებად ეფექტიანი სოციალური დაზღვევის ბერკეტების შექმნა. რუსეთი სულ უფრო ჭკუასუსტს ემსგავსება, რომელიც სიმღერ-სიმღერით იმ ტოტს ჭრის, რომელზეც, ავად თუ კარგად, ჯერჯერობით ზის, ანდა იმ ღუმელს აცლის აგურს, რაზეც ემილია „პო შუჩემუ ველენიუ" თუ ივანუშკა დურაჩოკი წევს. დურაჩოკი მხოლოდ თბილ ზღაპარში გამოდის ყველაზე „ქუულ" (მაგარი), მაგრამ არა რეალურ ცხოვრებაში.

„დოუ ჯონსის" კოეფიციენტი და „უოლ სტრიტი" ნატოს წევრობაზე არ აცხადებს პრეტენზიას, რადგანაც იგი ისედაც ყველაზე სუვერენული და ჭირვეული სუბიექტია და თანაც საქართველოს ტერიტორიულ პრინციპზე უფრო ამბიციური: მგრძნობიარედ ხისტი და ფრიად საპატივცემულო. მაგრამ რუსეთი იხტიბარს არ იტეხს, ქვეყნის საარსებო წყაროს „გაზპრომის" პრობლემების მიუხედავად, რომელზეც მხოლოდ კრემლის ოპოზიცია და აბეზარი ჟურნალისტები საუბრობენ, იგი 2008 წლის აგვისტოს შემდგომ თავის 180 მლრ. რუბლიან სამხედრო ბიუჯეტის ლამს 3 -ჯერ გაზარდასა და რუბლის საერთაშორისო ვალუტად გამოცხადებას აპირებს. არა იმისთვის, რათა თავის ჯარისკაცებს „პარტიანკების" ნაცვლად ნატოს ჩექმები ჩააცვას. თუმცა უკვე ცნობილია, რომ დიზაინერ ვალენტინ იუდაშკინს 100 000 რუბლის ღირებულების სამხედრო ფორმის შექმნა შეუკვეთეს. როგორც ჩანს, საქართველოდან „წაღებული" ნატოს ამუნიცია – უნიფორმა დაუწუნეს. რუსულ პრესაში უკვე გაჩნდა ცნობები, რომ ამ თანხის დიდი ნაწილი თავდაცვის სამინისტროს ფასადისა და გენერლების კაბინეტების იტალიური მარმარილოთი მოპირკეთებაზე დაიხარჯება. იტალიაც, ბუნებრივია, არ გააპროტესტებს საქმეთა ამგვარ ვითარებას. მედვედევი იმასაც აცხადებს, რომ რუბლი ევრო-დოლარს გაასწრებს, ალბათ, 2020 წლამდე, ფრთოსანი წყალქვეშა სუბმარინების შექმნამდე. 2000-დან ვიდრე 2008 წლამდე რუსეთის სამხედრო ხარჯები ოთხჯერ გაიზარდა, წვევამდელთა რიცხვი კი – ნახევარ მილიონამდე. ატომურ რუსეთს აქვს საკუთარი შეიარაღების მოდერნიზების უფლება და ამაში არც თავის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, არც საერთაშორისო სამართალს, მიუხედავად თვითგაფართოების ამბიციისა. სხვას ანუ საქართველოს ამგვარი უფლება არა აქვს. ის, რომ რუსეთი გულწრფელად დარდობს საქართველოს პაციფისტური გზიდან გადახვევას, ესეც საეჭვოა. კრემლს დასავლეთის (იგი საქართველოსაც გულისხმობსძ მილიტარიზმის დამამტკიცებელი პოლიტიკური არგუმენტაციისთვის ნებისმიერი ახალი თუ ძველი შენაძენი ისევე სჭირდება, როგორც მის ჯარიკაცებს სამხედრო ფორმა, უნიტაზები და საწვავიანი „ჰამერები".

რუსეთი აღშფოთებულია იმით, რომ საქართველომ თურმე 207 ტანკი „ვილაცეებისგან" შეისყიდა მაშინ, როცა თავად რუსეთმა არ იცის, თავისი შეიარაღება ვის მიჰყიდოს. საყვედური იმის თაობაზე, რომ „ვარდების ხელისუფლებამ" გვერდი აუარა ჩრდილოელ მეზობელს და სწორედ მასთან არ დაიწყო ყიდვა - გაყიდვის პროცესი, აშკარაა. კრემლმა ძალიან კარგად იცის, რომ არ არსებობს არანაირი დოკუმენტი: ლოკალური თუ საერთაშორისო, თუნდაც რუსეთის მიერ ინიცირებული, რომელიც სახელმწიფო საქართველოს ანდა სოციალისტური ბანაკის რომელიმე სხვა ქვეყანას იარაღის შეძენას აუკრძალავს. იარაღის მიყიდვაზე ემბარგოს დაწესების სამიზნე ქვეყანათა შორის ჩინეთი, უზბეკეთი, ინდონეზია, ლიბია, ვენესუელა, ჰაიტი, იემენი, კუბააა... ზოგს ემბარგო ძლიერი ლობისტების გამოისობით მოუხსნეს, ზოგიც – კვლავ აკრძალვის რეჟიმშია. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო კი საქართველოთი არ ინტერესდება და მომავალში მისი დაინტერესება ისე, როგორადაც იგი ირანს აქცევს ყურადღებას, ჯერ არავის უწინასწარმეტყველებია. საქართველო არაა ტერორისტული ქვეყანა, ისრაელის განადგურებას ნამდვილად არ გეგმავს, შეიარაღების მიყიდვის აკრძალვის არანაირი სანქცია მისთვის არც ერთ გაერთიანებას თუ ქვეყანას ინდივიდუალური წესით არ წარუდგენია.

მსოფლიო ბაზარზე რუსეთი ნავთობგაზისა და იარაღის გამყიდველია, საქართველო კი – თხევად-აიროვანი ოქროსა და რკინა – ფეთქებადი „პროდუქციის" მყიდველი. მოსკოვს გაუხარდებოდა „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის „უნიფორმების დარიგების" ნაწილიდან რაიმე რომ რგებოდა, მითუმეტეს, 2002 წლიდან ნატო-რუსეთის საბჭოს არსებობის ფაქტით პუტინს ნატოსთან პირდაპირი დიალოგის რეჟიმი ჰქონდა...ახლა არც მშვიდობიანი ატომის შეთანხმება ჩანს ჰორიზონტზე და არც პუტინის ახლო მეგობარი დმიტრი როგოზინი ბრიუსელის ტრიბუნაზე თავისი ანტიქართული გუნება-განწყობის ტრანსლირებით. როგოზინმა ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე" განაცხადა, რომ „სამხედროებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლად მოქმედების უფლება, რათა მათ იმ ტერიტორიას დაარტყან, რომელსაც ოფიციალური თბილისი ვერ აკონტროლებს"... ჟირინოვსკის ჩვეული ბოდვის მსგავსად ესეც ავადმყოფური ბოდვა ეგონათ მაშინ. ახლა ამ სიტყვებს სხვაგვარი წონა აქვს.

2007 წელს კრემლმა 7 მლრ. დოლარზე მეტი საფასურის საომარი საქონელი მიჰყიდა ახლოებელ თუ შორებელ მეზობლებს და 2008 წელს ამ ციფრის გადაჭარბებასაც აპირებს. ელცინის სავარძლის დაკავების შემდგომ პუტინი თავის გენერლებს დაჰპირდა, რომ შეიარაღებას გაათანამედროვებდა, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩქარობს. ექსპერტების გათვლით, რუსეთის შეიარაღება 1980 წლის დონეზეა გაყინული. თუმცა ამგვარი ჩაწოლილი საქონელი მაინც კარგად საღდება, აქა-იქ წვრილმანი უსიამოვნებებით, მაგრამ – მაინც. აგერ ალჟირმა რუსეთს 15 ცალი მიგ-29 უკან დაუბრუნა, არ ვარგაო... ჩინეთს ჯერჯერობით უკმაყოფილება არ გამოუთქვამს 38 ცალი ილ-76 - ით და კიდევ სხვა სახის რკინის „მახინების" გამო. ამერიკაც, ბუნებრივია, არავის ჩამორჩება. ბოლო 25 წლის განმავლობაში მან 72 მლრ. დოლარის საფასურის სამხედრო შეიარაღება მიჰყიდა სამყაროს, მათ შორის პაკისტანს, საუდის არაბეთს, ქუვეითსა და სხვებს. რუსეთსა და ამერიკას ერთი საერთო მომხმარებელი - საუდის არაბეთი აერთიანებთ, ვენესუელას კი ამ ორიდან ვინც ამარაგებს - ადვილად მისახვედრია...საომარი იარაღის სავაჭრო ბრუნვით რუსეთი მეორეა ამერიკის შემდეგ და ამ არაკომფორტული ადგილის გამო რუსეთის პროგრამა – მაქსიმუმის შინაარსი ცხადზე ცხადი ხდება. ყურადსაღებია, რომ კრემლმა მსოფლიოში არსებულ ყველაზე კომპეტენტურ სპეციალისტებზე უფრო კარგად იცის (ისევე, როგორც იცის ის, რომ პოლონეთსა და ჩეხეთში განლაგებული საჰაერო თავდაცვითი სისტემები მხოლოდ თავდაცვითი და არა თავდასხმითი ხასიათისააძ, რომ მსოფლიოს მთლიანი შემოსავლის 2 პროცენტი რუსეთზე მოდის, ხოლო 20-20 პროცენტი კი აშშ-სა და ევროკავშირზე, რომ რუსეთის მრავალმილიარდიანი სასტაბილიზაციო ფონდიდის ლამის მეოთხედი ამერიკის საბანკო თუ სხვაგვარ აქტივებშია, დანარჩენი - ევროპის ქვეყნებში.

სახელმწიფოში, სადაც არ არსებობს ბიუჯეტის, განსაკუთრებით კი სამხედრო ხაზინის გაკონტროლების არანაირი მექანიზმი, სადაც ოპოზიციის ღერძი (იგულისხმება არა მარტო საქართველო და რუსეთიძ მოხსნილი მინისტრების ამნეზიაა, რომლებსაც კარგად მხოლოდ წასვლის დღიდან და საათიდან გამოვლენილი ხარვეზები ახსოვთ, ალბათობა იმისა, რომ „უპატრონო" თანხა პერსონა N-ის ერთი ჯიბიდან მეორეში გადაინაცვლებს, 100 პროცენტს უტოლდება. ნატოს კანდიდატი უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო არც მარგარეტ ტეტჩერია და არც ანგელა მერკელი, პუტინის გვერდით მჯდომმა ვერბალურად მაინც რომ წამოისროლოს სიტყვათშეთანხება „ძალის არაპროპორციული გამოყენება" თანაც იმ პირობებში, როცა რუსეთი თავისი სტრატეგიული პარტნიორების - სერბეთისა და ბელორუსიის ენერგომატარებლების ფასებით დაშანტაჟებით არ ილლება და ყირიმს ყოველი შემთხვევისთვის ინახავს. როცა ხმა დაირხა, რომ თურმე ისრაელმა საქართველოს იარაღი მიჰყიდა, რუსეთმა არც აცია, არც აცხელა ადგა და განაცხადა: თუ ასეა, მაშინ ჩვენს ეროვნულ პროდუქტს სირიას მივყიდითო...

სახელმწიფოს სამხედრო თუ ზოგადად ბიუჯეტის გამჭირვალობა მესამე პლანზე გადადის, როცა საგარეო საფრთხეთა ჩამონათვალი იზრდება. ვშიშობ სააკაშვილისა და იუშჩენკოს ნათლი-მირონობამ ის პოლიტიკური დატვირთვა შეასრულოს, რაც მას თავიდანვე მიენიჭა. ნინო ბურჯანაძეც ვერაა მარგარეტ ტეტჩერი. თუმცა სალომე ზურაბიშვილთან ურთიერთობაში „ვარდების ტრიუმვირატის" წევრობა ნამდვილად გამოადგა, ისევე როგორც – მეუღლის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნაში. ბურჯანაძე გამონაკლისი არ გახლდათ, როცა პარლამენტარის ოჯახის წევრი აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ თანამდებობაზე ილწვოდა და ირწვის; როცა კანონმდებელი და აღმასრულებელი „ოჯახურ სიტუაციაში" ბჭობს ურთიერთმიმართების ავკარგიანობაზე. ღმერთმა დაგვიფარა და სასამართლო სისტემის წინამძღვრები ამ „სასტავში" მესამე არ აღმოჩდნენ. აქ მესამე კი არა, მეორეც ზედმეტია. სრული ბედნიერებისთვის კიდევ რომელიმე ტელევიზიის ან სხვა მედიის ხელმძღვანელი, „მეოთხე" უნდა მოქცეულიყო „თბილ ოჯახურ პონტში". თუმცა საქართველოში მეგობრული „სასტავებით" ბრავირება აბსოლუტურად მისაღებია, როგორც მაგალითად, ე.კიწმარიშვილსა და აწ გარდაცვილ ზ. ჟვანიას შორის. „რუსთავი-2" ის ექსთავკაცს პრემიერ-მინისტრის სიკვდილის გარემოებები მხოლოდ ელჩის სავარძლის დატოვების შემდეგ გაახსენდა. ისე, ნინო იულიასაც ემეგობრებოდა წარსულში, მარგარეტს კი ახლაც ეთაყვანება. ახლა ორივე „პრინცესა" თავიანთი პრეზიდენტების უკმაყოფილოა, რაც ერთ „ბედგრაუნდზე" აყენებთ. ბრაზილიური ტელესერიალის მომდევნო სიუჟეტის არ იყოს ახლა სამარჩიელოა ვინ – ვისკენ და ვისგან – ვის, ფაქტია, რომ ორივე – სააკაშვილისკენ და სააკაშვილისგან. მაგრამ მაინც, ჯიუტად აინტრესებს სერიალის ერთგულ მაყურებელს: ბურჯანაძის ზურაბიშვილის პოზიციასთან თანხვედრას უნდა ველოდოთ თუ პირიქით. თუმცა ამას უკვე ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ორი წლის წინათ. დროსთან ერთად ქაჯებიც ხომ იცვლებიან...

**– გრძელვადიან პერსპექტივაში რამდენად წაადგება თავად რუსეთსა და მისი ნავთობის მომხმარებლებს მილების ბუმის პოლიტიკა ? – ვკითხე საინფორმაციო სააგენტო „ვაშინგტონ პროფაილის" დამაარსებელს, ვაშინგტონში აშშ-ის მსოფლიო უსაფრთხოების ინსტიტუტის რუსეთისა და აზიური პროგრამების დირექტორს, პოლიტოლოგ ნიკოლაი ზლობინს.**

– მილები ძალიან სახიფათო რამაა, მათი არსებობა XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის დასაწყისი გადაგვისვრის. XIX-ში მილები უკვე ძველმოდურია, თუმცაღა ზოგიერთ ქვეყანას არც არაფერი რჩება ამ მილების გარდა. ეს რუსეთის სერიოზული პრობლემა გახდა, რადგანაც რუსეთმა მთელი თავისი ენერგეტიკა მილში მოაქცია. ახლა კი იმას ცდილობს, რომ მის ენერგიაზე მილის მეორე ბოლოს მუდმივი მოთხოვნა არსებობდეს. მილებს უზარმაზარი ფული სჭირდებათ: გამდიდრება, გადაქაჩვის სადგურები, კონტროლი, უსაფრთხოება და ა.შ. და თუ აღმოჩნდება, რომ მეორე მხარეს მყიდველი აღარაა, ეს იქნება ქვეყნის ეკონომიკისათვის სრული კატასტროფა. ამიტომ რუსეთი ამ მილებს პოლიტიკურად „ეპყრობა". რუსეთი გახდა ამ მილების ნამდვილი მძევალი და ერთ მშვენიერ დღეს ისინი არ გაამართლებენ. ახლაც არის მილები, რომლებიც თავის თავს არ ამართლებენ ნავთობის გადაქაჩვის დაბალი მაჩვენებლის გამო. რადგანაც რუსეთს არა აქვს ტანკერები საუდის არაბეთისა და ქუვეითისგან განსხვავებით, ხოლო გაზი მოიპოვება არა თბილი ზღვის ნაპირზე, სადაც შეგიძლია ტანკერში ჩატვირთო და სადაც გინდა იქ გააგზავნო. მილი რუსეთისთვის ლოგიკურ გამოსავლად ისახება, თუმცალა იგი ამავე დროს ენერგეტიკის სფეროს ყველაზე მოუქნელ მექანიზმად რჩება. თუ მას ააშენებ, ვერაფერს ველარ მოიმოქმედებ და სამუდამოდ მიერთებული იქნები კონკრეტულ მყიდველზე. რუსეთისთვის მთავარია, რომ მყიდველი არსებობდეს, ხოლო მყიდველს დღეს, ისევე როგორც ნებისმიერ ბაზარზე, დივერსიფიკაცია სჭირდება. რუსეთს უნდა, რომ მყიდველი თავის თავზე მიიჯაჭვოს. მყიდველი კი ამბობს, რომ მას უნდა ჰქონდეს არჩევანი, სად იყიდოს. რუსეთი სიტყუარაში აღმოჩნდა... იგი მიმართავს ყოველგვარ მეთოდებს – პოლიტიკურსა და ეკონომიკურს, რათა მყიდველი აიძულოს მას მიეწებოს. თუ საკითხს ამდაგვარად მივუდგებით, შესაძლებელია „გაზპრომისა" და სხვა ნავთობკომპანიების პრობლემას ჩავწვდეთ. ისინი ხომ დიდ ფულს დებენ ამ სტრუქტურებში, ამიტომაც მოთხოვნისა და მყიდველის გარეშე დარჩენა ძალიან ეშინიათ. მათთვის ჩინეთი დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგანაც ჩინეთს უახლოესი 100 წლის განმავლობაში დიდი რაოდენობის ენერგია დასჭირდება, ამისთვის დიდი ფულსაც გადაიხდის, უფრო მეტსაც კი, რასაც დღეს დასავლეთ ევროპა იხდის. ეს არის ნელ-ნელა განვითარებადი ბაზარი, მაგრამ დიდი და აუთვისებელი ყამირი. ამავე დროს მილის პრობლემა ისაა, რომ მისი მიმართულების შეცვლა შეუძლებელია, იგი მიმაგრებულია კონკრეტულ რეგიონს და ამიტომ პოლიტიკურად ბევრ პრობლემას ქმნის.

მყიდველს უნდა, რომ უფრო მეტი გამყიდველი იყოს, ეს კი რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. რუსეთი და დასავლეთი ენერგეტიკულ უსაფრთხოებას სხვადასხვა პოზიციიდან აფასებენ. დასავლეთს უნდა, რომ ბევრი მყიდველი მოგროვდეს, მაგრამ უფრო მეტი იყოს გამყიდველი. მილი მოწყვლადია, მას დიდი პოლიტიკური მხარდაჭერა სჭირდება, განსაკუთრებით, როცა პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიტუაცია იცვლება. უცებ, შესაძლებელია სადღაც უფრო იაფი ენერგიის წყარო აღმოაჩინონ და მყიდველები, ბუნებრივია, იქით გავარდებიან. მილი სერიოზული ეკონომიკური პაკეტით არაა შეკრული და, ვფიქრობ, მისი სიძვირის მიუხედავად, იგი წარსულს ჩაბარდება. ის ქვეყნები, რომლებსაც შეუძლიათ თავის თავს უფლება მისცენ ნავთობი და გაზი თხევადი სახით ტანკერით გადაზიდონ, გამოიყენონ ატომური ენერგია, უფრო მომგებიან პოზიციაზე დადგებიან.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ" საკ. კორ.**
**ნიუ-იორკი, აშშ.**

**(დასასრული იქნება)**

გუშინ, დღეს...

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ნ. ბარათაშვილი

# აღუვსებელი საწყაული, ანუ ამაოება ამაოთა



**დღესდღეობით, XXI საუკუნის ათიან წლებში, მსოფლიო კვლავ შფოთავს. კვლავ უხვადაა გვაქვს ომები, რევოლუციები; იხოცება ადამიანები. ბუნებაც გამძვინვარებულია — მიწისძვრებმა და ქარბორბალებმა უმძიმესი დაღი დაასვა ცხოვრებას; დიდია მსხვერპლი — ათასობით ადამიანი ეწირება სტიქიას, ინგრევა შენობები — უბინაოდ რჩებიან მისი ბინადარნი. ადამიანებში ისადგურებს პესიმიზმი, ფიქრი იმაზე, რომ მომავალი არ არსებობს. უნებლიედ ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები გახსენდებათ: „არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდღა ამაოება“.**

ძლიერნი ამა ქვეყნისანი ივიწყებენ ისტორიის გაკვეთილებს. ეს კი ტრაგედიად უჯდება ხალხს. ევროპაში ომებისაგან XVII საუკუნეში 3,3 მილიონი კაცი დაიღუპა; XVIII საუკუნეში — 5,4 მილიონი. 1801–1914 წწ-ში — 5,7 მილიონი. პირველმა მსოფლიო ომმა 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მეორე მსოფლიო ომმა 40 მილიონზე მეტი. პოლიტიკურ ლიდერთა გეგმებმა საფუძვლიანად გაანადგურა ევროპის კონტინენტი. ევროპა ველარ იჯერებდა, რომ შესაძლო იყო მშვიდობიანი მომავლის დადგომა. ფრანგი პოეტი პოლ ვალერი 1945 წელს წერდა: „ჩვენი იმედები ბურუსიანია, ჩვენი შიში კი სრულიად განსაზღვრული“. კვლავ მოვიხმობთ გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებს:

**„თვითონ მეფენიც უძლეველნი,**
**რომელთ უმაღლეს**
**ამაო სოფლად არღა არის სხვა**
**რამ დიდება,**
**შფოთვენ და დრტვინვენ**
**და იტყვიან „როდის იქნება,**
**ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“**
**და აღიძვრიან**
**იმავ მიწისთვის, რაც დღეს**
**თუ ხვალ თვითვე არიან!...“**

ეს ნარკვევი 2008 წლის აგვისტოში იწერება. საქართველო ფაქტობრივად ოკუპირებულია რუსეთის რეგულარული ჯარების მიერ. რუსებმა გაანადგურეს ცხინვალი, მთელი სამაჩაბლო; ტრაბახობენ, რომ დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები მიწასთან გაასწორეს. დაბომბეს თბილისი, გორი, ზუგდიდი, ფოთი, ვაზიანი, მარნეული, რაჭის რამდენიმე სოფელი, სამეგრელოს სოფლები. გაიძარცვა მოსახლეობა — მათ პირადი ქონება და პირუტყვი წაართვეს. გაიძარცვა სკოლები, სხვადასხვა დაწესებულებები, დაინგრა მრავალი შენობა. ქვეყნის ოკუპაცია, რუსი ჯარისკაცების ალვირახსნილობის ფონზე, გაჭიანურდა.

1991 წლის მარტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II წერდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი II-ს (რუსეთის პატრიარქმა 1991 წლის 23 მარტს წერილით მიმართა ილია II-სა და მორწმუნე ქართველებს ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტის თაობაზეძ:

„თქვენო უწმინდესობავ, ქვირფასო ქრისტესმიერო ძმაო!

„...მთელი ტრაგედია ისაა, რომ საქართველოს მიწაზე იღვრება სწორედ ქართული სისხლი, ქართველები იძულებული არიან თავი დაიცვან იმ ხალხებისგან, რომლებიც საქართველომ გადაარჩინა, მიიღო როგორც ლტოლვილები და რომლებიც მადლობის მაგივრად პრეტენზიას აცხადებენ ჩვენს ტერიტორიაზე და გვემუქრებიან საქართველოსგან მისი გამოყოფით. მთელი ტრაგედია, თქვენო უწმინდესობავ, არის ის, რომ ქართველები საკუთარ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ ლტოლვილები; ათასობით ქართველი ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთიდან“, რომელსაც ქართულად შიდა ქართლს უწოდებენ, სიცოცხლის გადასარჩენად იძულებული გახდა გაქცეულიყო სხვა რაიონებში“.

ეს იყო 17 წლის წინათ. 17 წლის შემდეგ ტრაგედია უფრო საშინელი სისასტიკით დატრიალდა. დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა — მოხუცები, ბავშვები, ქალები. თუ გავიხსენებთ XX საუკუნის ომების ევოლუციას, აქ აშკარად დაინახავთ, რომ პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთაგან 95 პროცენტი სამხედრო მოსამსახურე იყო, სამოქალაქო მოსახლეობა მხოლოდ 5 პროცენტი. მეორე მსოფლიო ომში ეს თანაფარდობა იყო შესაბამისად 52 და 48 პროცენტი, კორეის ომში 16 და 84 პროცენტი, ვიეტნამის ომში — 8 და 92 პროცენტი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ატომური ომის დროს სამხედრო მოსამსახურეთაგან მხოლოდ 1 პროცენტი დაიღუპება. 99 პროცენტი კი მშვიდობიანი მოსახლეობა ემსხვერპლება. ამ კანონზომიერებას რუსეთის მიერ წარმოებული ომიც (ცინიკურად ჟღერს, როცა თავად რუსეთის ხელმძღვანელობა აურაცხელი ჯარისა და ტექნიკის შემოყვანის მიზეზად სამშვიდობო ჯარების დახმარებას სახავსძ ემორჩილება. ასეულობით დაღუპული და ორი ათასამდე დაჭრილი მშვიდობიანი ადამიანი ამისი დასტურია. ამ რუსული თავდასხმის შედეგი საშინელი ტრაგედიაა. ტრაგედიამდე კი დანაშაულებრივმა მოქმედებამ მიგვიყვანა.

* * *

მსოფლიო სოციალისტური სისტემის დანგრევამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინაშე დააყენა მეტად სერიოზული ამოცანა — განესაზღვრათ თავიანთი ადგილი მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში. ეს თავის მხრივ რთული პროცესია, რისთვისაც საჭიროა არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის, არამედ ადამიანთა მენტალიტეტისა და საზოგადოებრივი აზროვნების შეცვლა. მსოფლიო სოციალისტური სისტემის პირობებში აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობებს გარკვეული ეკონომიკური სპეციალიზაცია ჰქონდათ და ჩართულნი იყვნენ მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. დღესდღეობით, როცა საბაზრო ეკონომიკის კანონები ბატონობს, როცა კონკურენცია და ბაზრისათვის ბრძოლა განსაზღვრავს ეკონომიკურ ცხოვრებას, ყველა ყოფილი სოციალისტური ქვეყანა იძულებულია ეძებოს ეკონომიკური განვითარების ახალი გზები. ეს მეტად მტკივნეული პროცესი ნაკლებად პრობლემურია ბუნებრივი რესურსებით (კერძოდ, სასარგებლო წიაღისეულითძ მდიდარი (აზერბაიჯანი, უზბეკეთი, თურქმენეთიძ ქვეყნებისათვის. იმ ქვეყნებში კი, სადაც მინერალური ნედლეული არ მოიპოვება, საქმე უფრო რთულადაა. ასეთ მდგომარეობაშია ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობა და შავი ზღვის აუზის რესპუბლიკები.

ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ბუნებრივ რესურსს, როგორიცაა ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა. არ შეიძლება ეს ფაქტორი პანაცეად ჩაითვალოს და მთელი იმედები საზოგადოების კეთილდღეობისა მასზე დამყარდეს, თუმცა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ მსოფლიოს სავაჭრო არტერიებთან მოხერხებული მდებარეობა გარკვეული უპირატესობაა ამა თუ იმ ქვეყნისათვის.

კავკასია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ბუნებრივი ხიდია აზიასა და ევროპას შორის. აქ გადის აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი უმოკლესი გზები. განსაკუთრებით მოხერხებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს საქართველოს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე „შიდაკონტინენტური“ საზღვაო ქვეყანაა, ოკეანეში პირდაპირი გასასვლელით. საქართველო ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ერთადერთი საზღვაო სახელმწიფოა; ქალაქები ფოთი და ბათუმი კი უმნიშვნელოვანესი საზღვაო პორტებია.

კავკასია მსოფლიოსათვის ისტორიულად იყო უმნიშვნელოვანესი რეგიონი. იგი ყოველთვის იყო მსოფლიოს ხალხთა თვალსაწიერში, უკანასკნელმა ათწეულებმა კი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრად აქცია. ამის მიზეზი ის პოლიტიკური მოვლენებია, რომლებიც კავკასიის თითქმის ყველა კუთხეში დატრიალდა. ეს რეგიონი ე.წ. „ცხელ წერტილად“ იქცა და საერთაშორისო ინტერესთა არეალში მოექცა.

კავკასიამ, კავკასიელებმა მძიმე ბრძოლებით აღსავსე გზა გაიარეს. უძველესი დროიდან მოექცა კავკასია ევროპისა თუ აზიის სახელმწიფოთა თვალსაწიერში. სხვადასხვა სახელმწიფოთა ე.წ. „კავკასიური პოლიტიკა“ რეგიონს მუდმივ საომარ მდგომარეობაში ამყოფებდა.

ოქროს საწმისის ხელში ჩასაგდებად მოსულმა ბერძნებმა კოლხებთან საზღვაო ომი გადაიხადეს. კავკასიას არაერთხელ დაესხა თავს სკვითები და სარმატები. კავკასიის სახელმწიფოები იძულებით ჩაებნენ ბიზანტიასა და ირანს შორის ატეხილ ხანგრძლივ ომში. კავკასიის საგარეო პოლიტიკას საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა არაბებთან, სელჩუკებთან, ბიზანტიელებთან ბრძოლები. რეგიონისათვის დამანგრეველი იყო მონღოლთა შემოსევები, როცა მთელი კავკასია მონღოლთა მფლობელობაში მოექცა (XIII ს.ძ. მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა ჯერ ხორეზმშაჰ ჯალალედინის, შემდეგ თემურლენგის რვაგზის შემოსევამ.

კავკასიის რეგიონის, მისი მოსახლეობისათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა კონსტანტინოპოლის ოსმალთა ხელში გადასვლა (1453 წ.ძ. XVI საუკუნიდან მოკიდებული კავკასია ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომების ასპარეზად იქცა.

**განსაკუთრებული საკითხია რუსეთის დამოკიდებულება კავკასიასთან. რუსეთს ადრიდანვე ჰქონდა „თვალი დადგმული“ ამ რეგიონზე.: რუსებმა უზარმაზარი მსხვერპლი გაიღეს იმისათვის, რომ კავკასიაში გავლენა და მასზე ბატონობა მოეპოვებინათ. მათ მიაჩნდათ, რომ „კავკასია იყო გასაღები, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო ვრცელი დაბლობების ათვისება და მათი გადაკეტვა სულ ახალი და ახალი ტომებისა და ხალხების შემოჭრისაგან“ (ვ.პოტო).**

რუსული მატიანეები გადმოგვცემენ სვიატოსლავის ბრძოლის შესახებ ყუბანში, მსტისლავისა და ჩერქეზთა ბატონის ურთიერთშებრძოლებისა და სხვა ფაქტების შესახებ. კავკასიისათვის ბრძოლას აწარმოებდნენ რუსეთის მეფეები ივანე III, ივანე IV (მრისხანეძ. რუსეთი პრაქტიკულად იჭრება კავკასიაში. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიაში ფუძნდება რუსული ახალშენები და ციხესიმაგრეები (თერგის, სუნჟისძ. განსაკუთრებით უტევს კავკასიას რუსეთი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში რუსები მტკიცედ იკიდებენ ფეხს კავკასიაში. არსდება ქალაქები: ყიზლარი, მოზდოკი, ვლადიკავკაზი (დააკვირდით სახელწოდებას!ძ, შეიქმნა კავკასიის გამაგრებული ხაზი. 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის გეორგიევსკში დაიდო ე.წ. „მფარველობითი ხელშეკრულება“, ტრაქტატი, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ არ შეასრულა და 1801 წელს შეიერთა ქართლ-კახეთის სამეფო. ეს ქვეყნის დაპყრობის ტოლფასი იყო, რადგან გაუქმდა მეფობა და საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა. რუსეთის ხელისუფლების ქმედება კიდევ უფრო შორს წავიდა — გააუქმეს ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, გააუქმეს კათოლიკოს-პატრიარქობა (საქართველოს ეკლესია V საუკუნიდან ავტოკეფალური და საკათალიკოსო იყო, XI საუკუნიდან — საპატრიარქოძ და ნაცვლად საეგზარქოსო დააარსეს (1811 წ.ძ. პირველი ეგზარქოსის (ვარლამ ერისთავიძ შემდეგ ყველა მომდევნო რუსი იყო.

**კავკასიელები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის დამკვიდრებას მათ მიწა-წყალზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩრდილო კავკასიელი — დაღესტნელი და ჩეჩენი მთიელების ბრძოლა რუსი მოძალადეების წინააღმდეგ. სამხრეთ დაღესტანში XIX საუკუნის 20-იან წლებში დაწყებული ანტირუსული მოძრაობა ფართოდ გაიშალა. მის სათავეში ღაზი მუჰამედი იდგა. მას წინააღმდეგობა გაუწიეს ავარელმა ხანებმა, რომლებიც მთაში ცარიზმის დასაყრდენს წარმოადგენდნენ. 1831 წელს, ღაზი მუჰამედმა გაანადგურა სამეფო ჯარის ნაწილები და დაიკავა გეოგრაფიული პუნქტები: პარაული, ტარკი, ყიზლარის ციხე-სიმაგრე. 1832 წელს შეიჭრა ჩეჩნეთის სიღრმეში, ილაშქრა ვლადიკავკაზზე და ალყა შემოარტყა ნაზრანს...**



ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ.
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

კომპეტენტური აზრი

## ნომრის სტუმარია კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი



# საზოგადოებრიობამ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დასვას

## ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ქვეყანას და მის ხელმძღვანელობას საერთაშორისო რეპუტაცია ჰქონდეს

**— ბატონო გიორგი, თქვენ მხოლოდ მშვიდობიანი გზით ფიქრობდით კონფლიქტების მოგვარებას და არამც და არამც ომით. ჩვენი ინტერვიუების დროს ყოველთვის სასტიკად ეწინააღმდეგებოდით ძალისმიერი მეთოდის გამოყენებას. ომი მაინც არ აგვცდა, თუ ვერ ავიცდინეთ? რა მოხდა?**

— ორი სიტყვით ძნელია იმის თქმა, რა მოხდა. ეს გრძელი პროცესი იყო. კონკრეტულად მაინც ვერ ვიტყვით, ომი ვინ დაიწყო. ცხინვალის რეგიონში ძალიან გართულებული სიტუაცია იყო, რომელზეც სხვადასხვაგვარი რეაგირება შეიძლებოდა. განსაკუთრებით 1 აგვისტოდან დაიძაბა სიტუაცია. რუსეთი პროვოკაციებს აწყობდა, თვეების განმავლობაში ემზადებოდნენ იმისთვის, რომ კონფლიქტური რეგიონები საქართველოზე ზეწოლისთვის გამოეყენებინა. ეს ყველაფერი ცნობილი იყო. სწორედ ამიტომ მთელი ძალისხმევა უნდა მიმართულიყო იქითკენ, რომ ჩვენს ხელისუფლებას თავიდან აეცილებინა კონფლიქტი, თუმცა რთული იყო თავშეკავება. ნაცვლად ცხინვალზე თავდასხმისა, ხელისუფლებას საერთაშორისო დონეზე უნდა აეტეხა განგაში, მომხდარიყო მრავალგზის გაფრთხილებები, ინფორმაციის გახმოვანება და არა დაფარვა, უნდა ეზრუნათ ამ ამბის ინტერნაციონალიზაციაზე, დაეწყოთ მოსახლეობის ევაკუირება და ა.შ. ხელისუფლებამ მოსახლეობა სერიოზულ საფრთხეში ჩააყენა. მათ მოჩვენებითი, არარეალური შანსის გამოყენება სცადეს — იქნებ შევძლოთ ცხინვალის აღება და ამ რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენაო. ანუ ისეთ სამხედრო ოპერაციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომელსაც გამარჯვების შანსი არ ჰქონდა.

სწორედ ამის გამო, იმ დღეებში მოაზროვნე ადამიანებში ასეთი აზრიც კი გავრცელდა, ეს იქნებ გარიგებააო, საინტერესოა, რის ფასად, აფხაზეთის დათმობის ხარჯზე ხომ არაო?! აღმოჩნდა, რომ ასეთი გარიგება არ ყოფილა და ეს მხოლოდ გაუთვლელი ნაბიჯი და შედეგები იყო. ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ მხოლოდ შეიარაღებული ძალების იმედად შეიძლებოდა კონტრშეტევა. ამიტომ დამთავრდა ეს სამხედრო ოპერაცია კატასტროფული მარცხით.

**— ამის შემდეგ რა ხდება?**

— ამის შემდეგ ხდება არა სიტუაციის გადაფასება, დამნაშავეების გამოვლენა და პასუხისგებაში მიცემა, სერიოზული სამთავრობო გადაადგილებები და ა.შ. არამედ პირიქით, ამ ომით ხელისუფლების რეაბილიტაცია. თითქოს შეცდომები მთავრობას არ დაუშვია და მხოლოდ გარე ძალები უშვებდნენ. გავრცელდა აზრი, თითქოს სხვა შანსი არ იყო, ყველა შესაძლო გზა მოისინჯა და ამ ეტაპამდე მივედით.

ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ქვეყანას და მის ხელმძღვანელობას საერთაშორისო რეპუტაცია ჰქონდეს. ამიტომაც მსოფლიოში უკვე ვრცელდება ბევრი დამამცირებელი მასალა ჩვენზე, რომ არ ვართ შემდგარი სახელმწიფო, მოგვიაზრებენ, როგორც რესტაბილურ ქვეყანას. შედარებით პროქართული განწყობა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს იმოქმედებს ჩვენს ევროკავშირში, ნატოში გაწევრების საკითხზე, ინვესტიციების მოზიდვის პრობლემებს შექმნის...

**— გამოსავალი რა არის?**

— ის, რომ ქვეყანამ თავისი სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცოს. უპირველესად, მოვლენები უნდა შეფასდეს.

**— ამას ხელისუფლება თუ არ გააკეთებს, ვინ უნდა გააკეთოს?**

— გარკვეული შეფასება უკვე გააკეთეს სახალხო დამცველმა, ასევე სხვადასხვა სამოქალაქო თუ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა.

**— გასაგებია, მაგრამ როცა ელექტრონული მედია მეტ-ნაკლებად დახშულია, რამდენად ხელმისაწვდომია ეს შეფასებები საზოგადოების ყველა წევრისთვის. მაგალითად, რეგიონებში განსხვავებული აზრი თითქმის არავის აქვს, მცირედი გამონაკლისის გარდა, ისინი ძირითადად მთავრობის პროპაგანდის ზეგავლენის ქვეშ არიან.**

— საჭიროა პოლიტიკური პარტიების გააქტიურება, თუ ჰყავთ აგიტატორები რეგიონებში, უნდა გამოიყენონ ეს მომენტი და შეეცადონ საზოგადოების გამოღვიძებას, მოითხოვონ სატელევიზიო ეთერის გახსნა, საჯარო დისკუსიები, აზრის ამოძრავებას შეუწყონ ხელი.

თუ არადა მოხდება ქვეყნის საერთაშორისო იზოლაცია და ამას რუსეთი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.

თითქოს პოლიტიკური პარტიები რაღაცას აპირებენ 7 ნოემბრისთვის, შარშანდელი მოვლენების წლისთავის აღსანიშნავად. ჩემი აზრით, პროტესტის მშვიდობიანი ფორმა უნდა მოიძებნოს, კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოეწყოს აქცია და იმ კითხვებს გაეცეს პასუხი, რომელიც ხალხს დაუგროვდა.

**— ჩვენ გვქონდა 7 ნოემბერი, მაგრამ შედეგად ღირებული და ფასეული რა მივიღეთ; კიდევ ერთი 7 ნოემბერი...?**

— ვერაფერი კარგი ვერ მოგვცა იმის გამო, რომ გადაჭარბებული მოლოდინი გვქონდა, რომ ოპოზიციას პოლიტიკური ცვლილებების მიღწევა შეეძლო. მეორე მხრივ, ხელისუფლებამ უხეში, აგრესიული მეთოდით დაშლა აქცია ჭკუის სასწავლებლად, რომ ასეთი აქციები არ შეიძლება საქართველოში.

არ ვიცი, ახლა რა რეაგირება ექნებათ საპროტესტო აქციაზე, მაგრამ არ არის ყველაფერი ისე, როგორც ხელისუფლება ხატავს. საზოგადოებამ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დასვას. ამის გარდა, მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენც ისეთი საზოგადოება ვართ, რომელსაც მოვლენების შეფასების არ ეშინია. ამის გარეშე არავინ დაგვიჯერებს, რომ საქართველო შემდგარი სახელმწიფოა.

**— ბატონო გიორგი, ოპოზიციური პარტიების ინერტულობის ფონზე, გააქტიურდნენ ხელისუფლებიდან წამოსული ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი, ეროსი კიწმარიშვილი, მათ დასვეს კითხვები იქამდე, ვიდრე ამას საზოგადოება გააკეთებდა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

— ჯერ ერთი, უნდა მივაღწიოთ ოკუპაციური ჯარების საქართველოდან გაყვანას, შემდეგ საჭიროა, ყველამ წარმოაჩინოს თავისი თავი, თავისი როლი, თუკი ვინმე რამეს წარმოადგენს.

თუკი ნინო ბურჯანაძეს რამე შეუძლია, მან უნდა შეასრულოს გარკვეული როლი. მითუმეტეს, რომ მას დასავლეთი ანგარიშს უწევს. ასევე შესაძლებელია რაღაც ძალების, ალიანსების შეკვრა.

თავისთავად ხელისუფლების მთლიანად შეცვლა კი არ უნდა მოხდეს, არამედ ისეთი ცვლილება, რომელიც ქვეყანას ახალ პერსპექტივას დაუსახავს.

ამ ეტაპზე რუსეთთან ურთიერთობის გაჯანსაღებაზე ძნელია ლაპარაკი, მაგრამ შესაძლებელია დასავლეთის ნდობის მოპოვება, მათთან ახალი ურთიერთობების აწყობა. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება. ახლა დასავლეთი კატეგორიულობისაგან თავს იკავებს რუსეთთან ურთიერთობისას, რადგან ხედავს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ არის სტაბილური, რომ ის არადემოკრატიულ პროცესებს ავითარებს.

ესაუბრა
**თეა მოსია**

ინფორმაცია

### რუსეთთან საქართველოს დიპლომატიურ საქმიანობას შვეიცარია მოაწესრიგებს

**შვეიცარია** თანახმაა დაიცვას რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური ინტერესები საქართველოში, თუმცა ჯერჯერობით საკონსულო მომსახურების გაწევა არ შეუძლია. ამის შესახებ შვეიცარიის საელჩოდან იტყობინებიან.

შვეიცარიის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რამდენიმე დღის წინათ, რუსეთმა ოფიციალურად დასვა საკითხი იმის შესახებ, ხომ არ იქნებოდა შვეიცარია მზად წარმოედგინა რუსეთის ფედერაციის ინტერესები საქართველოში.

შვეიცარიის მთავრობამ (ფედერალურმა საბჭომ) 2008 წლის 3 ოქტომბერს დადებითი პასუხი გასცა რუსეთის თხოვნას, იმ პირობით, თუ კი საქართველო თანახმა იქნებოდა შვეიცარიის მანდატზე წარმოედგინა რუსეთის ინტერესები საქართველოში. საგარეო საქმეთა ფედერალურმა დეპარტამენტმა მიიღო ინსტრუქციები მომდევნო დღეებში დააზუსტოს საგარეო საქმეთა სამინისტროებთან ერთად დეტალები ამ მანდატის შესახებ.

უცხო ქვეყნის ინტერესების დაცვა ტრადიციულად შვეიცარიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამჟამად შვეიცარიას გააჩნია რამდენიმე მსგავსი მანდატი. მაგალითად, იგი წარმოადგენს კუბისა და ირანის ინტერესებს ამერიკის შეერთებულ შტატებში და პირიქით შეერთებული შტატების ინტერესებს კუბაზე.

ეს შეთანხმება სამართლებრივ საფუძველს ქმნის ორივე ქვეყნის მოსახლეობისათვის უარყოფითი შედეგების მინიმალიზაციისთვის, იმ ვითარებაში როდესაც დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია.

შესაბამის მხარეებს შორის შეთანხმებების მიღწევამდე საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მიერ არ იქნება შემოთავაზებული საკონსულო მომსახურება და არ იწარმოებს რუსეთის ვიზების გაცემა.

### წასვლა სურთ, მეთაურები არ უშვებენ

**საჩხერის** რაიონის სოფელ პერევში რუსეთის უკანონო ბლოკ-პოსტი 8 ოქტომბერს გაუქმდება.

აღნიშნული ინფორმაცია საჩხერის გამგებელმა ზურაბ ცერცვაძემ დაადასტურა.

ამ დროისათვის საჩხერის რაიონის სოფელ პერევში უკანონო ბლოკ-პოსტზე რუსი ოკუპანტების არანაირი გადაადგილება არ შეინიშნება. თუმცა, როგორც სოფლის ადგილობრივი მცხოვრებლები აცხადებენ, რუსები მათთან საუბარში ხშირად ახსენებენ, რომ მათ საქართველოდან გასვლა სურთ, თუმცა ბრძანებას მეთაურები არ აძლევენ.

### წალენჯიხაში სროლა ატეხეს

**სროლის** ხმა ისმოდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანსა და ფოცხოეწერში.

რუსმა სამხედროებმა სოფლების საჯარო სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე ღამითა და დილით ნაღმმტყორცნიდან რამდენიმეჯერ ისროლეს.

ადგილზე იმყოფებოდნენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სკოლებში სასწავლო პროცესი ჩაშლილია, რადგანაც მშობლებს ბავშვების სკოლაში გაშვების ეშინიათ.

### გრძელდება ოსთა თარეში

**გორის** რაიონის სოფელ ტირძნისში შეიარაღებული ოსები იმყოფებიან და ქვის სამტვრევ საამქროს და საწყობებს ძარცვავდნენ.

როგორც სოფლის რწმუნებული თემურ ტეტუნაშვილი აცხადებს, ოსებს ტექნიკაც ჰყავდათ მოყვანილი და ძვირადღირებული დანადგარების წაღებას ცდილობდნენ. ოსებმა 2 სატვირთო მანქანით უკვე გაიტანეს სპეციალური ტექნიკა. აღნიშნულის თაობაზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ და სამართალდამცავებმა საქმის კურსში უკვე ჩააყენეს ევროკავშირის დამკვირვებლები და სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი.

ყაჩაღობა მოხდა სოფელ აძვში. სოფლის რწმუნებული გუჯა რჩეულიშვილის ინფორმაციით, რამდენიმე შეიარაღებული და ნიღბიანი პიროვნება ქუჯოშვილების ოჯახში გვიან ღამით შეიჭრა და ფული და ძვირფასი ნივთები წაიღო. დაზარალებულთა განცხადებით თავდამსხმელები ოსური აქცენტით ქართულად ლაპარაკობდნენ. რწმუნებულის განცხადებით, ოსების მხრიდან ხშირია ქართულ სოფლებში იარაღით შემოჭრის და დაშინების ფაქტები. აძვს ოსური სოფელი ზემო არცევი ესაზღვრება.

### მოკლეს აფხაზი მესაზღვრე

**გალის** რაიონის სოფელ ნაბაკევში აფხაზი მესაზღვრე მუხრან აშუბა მოკლეს. ამის შესახებ სააგენტო „რეგნუმი" იუწყება.

მუხრან აშუბა ე.წ. საზღვარზე, სოფელ ნაბაკევში სროლაში მოჰყვა.

### მსოფლიო ბანკი ძროხებით გვეხმარება

**მსოფლიო** ბანკის დახმარებით ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭიაურში მცხოვრებ 147 ოჯახს უსასყიდლოდ თითო ძროხა გადაეცემა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იტყობინებიან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გია წვერავას განცხადებით, პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო და წლის ბოლოს დასრულდება.

მისი თქმით, ეს პროცესი გაგრძელდება და ერთი წლის შემდეგ საქონელს კიდევ 147 ოჯახს გადასცემენ.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭიაურში ძირითადად აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ. ადგილობრივები მსოფლიო ბანკის ამ პროექტს დადებითად აფასებენ.

ინტერპრესნიუსი

◎ რა მოხდა ცხინვალში?




# აფეთქება „სამშვიდობო ჯარების“ შტაბთან

**ცხინვალში, რუსეთის საოკუპაციო ჯარების შტაბთან მომხდარ აფეთქებას, ოსი სეპარატისტებიც და რუსული საოკუპაციო კონტინგენტის მეთაურებიც ქართული სპეცსამსახურების პროფესიონალიზმს უკავშირებენ.**

მათი ვერსიით, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: ოსური ბანდფორმირების წევრებმა, რომელთაც მრავალგზის გაძარცვეს, ააოხრეს და გადაბუგეს გორსა და ცხინვალს შორის მდებარე ქართული სოფლები, ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდის შედეგად დაცარიელებულ სოფელ დიცს, რომელიც ცხინვალიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს, კვლავ ეწვივნენ. ერთ-ერთ სახლთან მძარცველებმა "ჟიგული-09" მარკის ავტომობილი შენიშნეს. ოსი ბანდიტები, თავადაც ამ მარკის ავტომობილით მოძრაობდნენ. გახარებულებმა იფიქრეს, სახლის საბრალო პატრონმა, ოჯახთან ერთად გორისკენ გაქცევისას, მანქანის წაყვანა უბრალოდ ვერ მოასწროო, „09“ დაქოქეს და ცხინვალისკენ გაეშურნენ.

ქალაქში შესასვლელთან ისინი რუსულმა პატრულმა შეაჩერა. ამ დროს (ვიმეორებთ) ოსები ორი მანქანით მოძრაობდნენ: ერთს, რომლითაც დიცში თავდაპირველად შევიდნენ, რუსული სანომრე ნიშნები ჰქონდა, ხოლო მოპარულ-გატაცებულს, რა თქმა უნდა, ქართული ნომრები.

რუსმა ოკუპანტებმა ოსებს ქართული სანომრე ნიშნების მქონე მანქანის საბუთები მოსთხოვეს. რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ მანქანა ქართველი პატრონისთვის დაებრუნებინათ – უბრალოდ, შეიარაღებული პირების ცხინვალთან ქართული ნომრების მქონე მანქანით მიახლოება საეჭვოდ მოეჩვენათ, ხოლო გამტაცებელთა რწმუნება „ჩვენ ხომ ოსები ვართ – რუსეთის მოქალაქეები და არა ქართველებიო“, ყურად არ იღეს.

ოსები დაუყოვნებლივ განაიარაღეს, ავტომატები, ნაღმსატყორცნები, ხელყუმბარები წაართვეს და ორივე მანქანით ცხინვალის ერთ-ერთ რაიონში მდებარე „ვოენნი გოროდოკში“ მიიყვანეს, სადაც რუსული „სამშვიდობო ჯარების“ შტაბია განლაგებული.

გატაცებულ მანქანაში მყოფი ოსი მაროდიორები ამ დროს, რასაკვირველია, სრულიად მშვიდად იყვნენ, ხითხითებდნენ და ხელებსაც „იფშვნეტდნენ“, რაკი დარწმუნებულნი ბრძანდებოდნენ, რომ რუსულ შტაბში უმალ მივიდოდა „სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი“ მიხეილ მინძაევი, დაადასტურებდა, რომ ისინი „ოსურ მილიციას“ ან „ოსური თავდაცვის სამინისტროს“ დაქვემდებარებული პირები იყვნენ, განაცხადებდა, რომ „მებრძოლები დაგეგმილ პატრულირებას ახორციელებდნენ ბუფერულ ზონაში“ და მათ, მოპარულ მანქანასთან ერთად, რომელსაც, ან ერთ-ერთი გამტაცებელი დაისაკუთრებდა ან რუსული ნომრებით ვლადიკავკაზში გაყიდიდნენ და ფულს გაიყოფდნენ, უმალ გაათავისუფლებდნენ.

მაგრამ ზუსტად იმ დროს, როდესაც მანქანა შტაბთან გაჩერდა, „ჟიგული“, რომელშიც ოთხი მაროდიორი იჯდა, საშინელი ძალით აფეთქდა. შემდგომ სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მანქანაში 20 კილოგრამი ტროტილის სიმძლავრის ასაფეთქებელი ნივთიერება იყო დამონტაჟებული.

თვით ოსი „ბოევიკებისგან“ ნასახიც აღარ დარჩა; მინისტრმა მინძაევმა განაცხადა კიდეც, „მათი ვინაობა ვერ დავადგინეთო“ ან კი, როგორ დაადგენდნენ ჰაერისა და კვამლის ვინაობას?; თანაც იქვე მყოფი შვიდი რუსი სამხედრო მოსამსახურეც გაისტუმრა საიქიოს; ერთ-ერთი ნამსხვრევი შტაბის იმ კაბინეტში შევარდა, სადაც იმ მომენტში რუსი „მშვიდობისმყოფლების“ მეთაური, გენერალი კულახმეტოვი არ იმყოფებოდა, მაგრამ იმყოფებოდა შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი პეტრიკი, რომელიც ადგილზევე აღესრულა.

რუსები და ოსები ამჟამად ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს „ჟიგულიში“ „ჯოჯოხეთის მანქანა“ ქართულმა სპეცსამსახურებმა დაამონტაჟეს იმ გათვლით, რომ ოსი მაროდიორები მას აუცილებლად ჩაიყვანდნენ ცხინვალში.

თუმცა, რომც დავიჯეროთ ეს „სენსაციური“ ვერსია, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად უარყოფს, ქართული სპეცსამსახურების მებრძოლები ვერც კი იოცნებებდნენ და ნამდვილად ვერ გათვლიდნენ იმას, რომ რუსული სამხედრო პატრული მანქანას გააჩერებდა და მას, გამტაცებელ ოსებთან ერთად მაინცდამაინც პირდაპირ გენერალ კულახმეტოვის რეზიდენციასთან მიიყვანდა.

სწორედ ამ „უხერხულობით“ აიხსნება, რომ თავდაპირველად, „საინფორმაციო ომის“ რუს დიდოსტატებსაც კი უჭირდათ აეხსნათ, როგორ და რატომ აღმოჩნდა მანქანა სამშვიდობოთა შტაბთან.

იმაზე, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა ქართველებმა დაამონტაჟეს, ყველა თანხმდებოდა, მაგრამ ამავდროულად არ სურდათ იმის აღიარება, რომ მანქანა ოსებმა გაიტაცეს ანუ, მათი მოკავშირეები უმწეო ქართულ სოფლებში მაროდიორობენ.

ამიტომ ჯერ აცხადებდნენ, რომ მანქანაში ქართველი ტერორისტები ისხდნენ, შემდეგ რომ „ჟიგული“ კი არა, „უაზი“ იყო, რომ ეს მანქანა ქართველ ტერორისტებს წაართვეს (კონფისკაცია მოახდინეს), მერე, თურმე „იყიდეს“ და შტაბთან შესამოწმებლად მიიყვანეს და ასე შემდეგ.

ნებისმიერ შემთხვევაში ცხადი და უდავოა, რომ მანქანა ცხინვალში ქართველებს არ ჩაუყვანიათ და იქ ვერც აღმოჩნდებოდა, ოსებს უმწეო ქართულ სოფლებში რომ არ „ემამაძაღლათ“.

არც თუ ნათელია აგრეთვე, რამ აამოქმედა ასაფეთქებელი მოწყობილობა: საათის მექანიზმმა თუ დისტანციურმა პულტმა. თუ მეორე ვერსიას ვირწმუნებთ, მაშინ გამოდის, ცხინვალში კვლავ იმყოფებიან ქართველი „სპეცდანელები“, რომლებიც მტერს დივერსიას უწყობენ. პირველი ვერსიის შესაბამისად კი, საათის მექანიზმი ადრე თუ გვიან უეჭველად მოვიდოდა მოქმედებაში უკვე მას შემდეგ, რაც მანქანა „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა, სადაც ქართველები საერთოდ აღარ არიან ან თუ არიან, საკონცენტრაციო ბანაკებში აწამებენ.

ქართველი ექსპერტები ამ ვერსიებს არ იზიარებენ: თორნიკე შარაშენიძემ „ჯი-ეიჩ-ენ“-ს განუცხადა, რომ „ცხინვალში ამჟამად ისეთი არასტაბილური ვითარებაა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს; ზღაპარია, თითქოს ასაფეთქებელი ნივთიერება იდო იმ მანქანაში, რომელიც ახალგორის რაიონში ქართველებს წაართვეს და ასე შემდეგ.

„სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა კი სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ „ვის და როგორ კლავენ დღეს ცხინვალში. ეს რუსებს უნდა ჰკითხოთ. ისინი აკონტროლებენ იქ ყველაფერს და პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, შოთა უტიაშვილმა კი ჩვენთან საუბრისას ყურადღება მიაქცია საეჭვო დამთხვევას: „შეგახსენებთ, რომ ე.წ. ბუფერულ ზონებში სნაიპერებმა ბოლო დროს სამი ქართველი პოლიციელი მოკლეს; ეს ყოველივე (აფეთქების ჩათვლით) იმ მიზნით კეთდება, რომ „ბუფერული ზონებიდან“ ჯარები დათქმულ ვადაში, ანუ 10 ოქტომბრამდე არ გაიყვანონ, როგორც ეს სარკოზი - მედვედევის შეთანხმებითაა განსაზღვრული“.

**ძნელი სათქმელია, გამოიყენებს თუ არა კრემლი დივერსიის მეთოდებს იმისათვის, რათა საქართველოს ტერიტორიიდან ჯარები არ გაიყვანოს. ცხინვალის ინციდენტს საეჭვოდ დაემთხვა უცნაური მოვლენები ზუგდიდში, სადაც გენერალი ჩაბანი ასი შეიარაღებული მეომრით შეიჭრა (ჩანს, გენერალ კულახმეტოვისადმი სოლიდარობის ნიშნად) და „საზღვართან ქართული ჯარების კონცენტრაციის“ თაობაზე ისტერიკა მოაწყო.**

მართალია რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ერთმნიშვნელოვნად ქართულ მხარეს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ცხინვალის დივერსია „შესანიშნავად ორგანიზებული ტერაქტი იყო“, მაგრამ ლავროვის უწყებას ჯერ არ გაუკეთებია განცხადება სარკოზი-მედვედევის შეთანხმებათა დენონსირების თაობაზე.

დღევანდელ ვითარებაში მოსკოვისგან ყველაფერია მოსალოდნელი, თუმცა ტერაქტი იმდენად არაერთგვაროვან ვითარებაში მოხდა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის დარწმუნება „ქართულ კვალში“ ძნელი იქნება.

თუმცა ამ მიმართულებით ბრძოლა მაინც აუცილებელი გახდება იმის გათვალისწინებითაც, რომ ზოგიერთი სხვა ქართული უწყება სწორედაც ვერ ამჟღავნებს შორსმჭვრეტელობასა და პროფესიონალიზმს;

ამის მაგალითია ევროსაბჭოს რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ქართულმა მხარემ სამხრეთ ოსეთში კასეტური ბომბები გამოიყენა, რაც არაჰუმანური იარაღია“ და არაფერია ნათქვამი რუსების მიერ გორის ასეთივე ჭურვებით დაბომბვის შესახებ.

სტრასბურგში მყოფმა ერთ-ერთმა ქართველმა დეპუტატმა გაგვანდო, რომ როდესაც მან ევროპელ მომხსენებელს ჰკითხა, რატომ არ ჩაიწერა მოხსენებაში, რომ კასეტურ ბომბებს რუსული არმიაც იყენებდა, თანაც არა სამხედრო კოლონების, არამედ ქალაქის წინააღმდეგ, მან „მხრები აიჩეჩა“: იმიტომ, რომ ეს ფაქტი ქართულმა მხარემ ოფიციალურად დაადასტურა, რუსული მხარე კი უარყოფს. ვარაუდებსა და ჯერ გამოუქვეყნებელ საკამათო ფაქტებს კი მოხსენებაში ვერ ჩავწერდითო! ამაში ვერც შევედავები.

**ნიკა ვაშაკიძე**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ ფრთხილად, იძებნება!



# დაკარგული 500 მილიონი...

**ახლა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ბევრი ფიქრობს, რომ მეფის კარზე მოვლენათა დინება ამღვრეულია. შესაბამისად, ხელისუფლების ზედა ეშელონებში უკვე გამოჩნდნენ სკამებზე მონადირე კარიერისტები, რომლებიც ამღვრეულ წყალში თევზის დასაჭერად აქედანვე ემზადებიან. ვინ როგორი სიმარჯვით ისვრის ბადეს, ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი საზოგადოებას გზამკვლევად ცალკეული ოპოზიციური პარტიების პროგნოზები და ლელა კაკულიას ნათელმხილველური დასკვნები თუ გამოადგება.**

ერთადერთი, ვინც არჩეულ გზას არ ღალატობს და დასავლური დემოკრატიული ღირებულებებით დამძიმებულ ბილიკებს ლაღად და თავშექცევით მიუყვება, ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია. მისი აზრით, საქართველოს ისეთი ჯანსაღი პოლიტიკური სისტემა, როგორიც დღეს აქვს, არასოდეს ჰქონია (ყოველ შემთხვევაში, მას არ ახსოვს), რაც იმის გარანტიას ქმნის, რომ ქვეყანა მოკლე პერიოდში წარმატებით დაძლევს ომით მიყენებულ ჭრილობებს და ახალ დემოკრატიულ ტალღაზე აგორდება.

ამ ფონზე ცოტა უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს ცალკეულ სუბიექტთა თუ პიროვნებათა სკეპტიციზმი, რომლებიც საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების არსში ვერ გარკვეულან და მის ყველაზე ჯანსაღ ხელისუფლებას ყველაზე არაჯანსაღ კითხვებს უსვამენ. რაღა შორს წავიდეთ, როგორც პრესიდან გახდა ცნობილი, მთავრობის უმწიკვლო ალმაშენებლური მოღვაწეობის მიუხედავად, მის მიმართ უხერხული შეკითხვების მთელი არსენალი დაუგროვდათ „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტის გუშინდელ თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, ასევე გუშინდელ პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, რუსეთის ფედერაციაში ნაელჩარ ეროსი კიწმარიშვილს და სხვებს, რომლებიც ხელისუფლებისგან პასუხს სულის კანკალით ელოდებიან.

რა თქმა უნდა, მოკლე საგაზეთო წერილში ყველა იმ კითხვის ჩამოთვლა, რაც ოპოზიციას და ახლახან გაოპოზიციონერებულ სუბიექტებს აინტერესებთ, შეუძლებელია, მაგრამ ერთ იმათგანზე კი უეჭველად შევჩერდებით. ეს გახლავთ 500-მილიონიანი ევროობლიგაციები, რომელიც საქართველოს მთავრობამ ევროპის ბაზარზე ჯერ კიდევ გაზაფხულზე განათავსა (აპრილში), მაგრამ რას მოხმარდა ამ სესხით მიღებული თანხა, ამას დღემდე საიდუმლოდ ინახავს.

რატომ გაასაიდუმლოვა ხელისუფლებამ საზოგადოებისათვის ეს აუცილებელი ინფორმაცია? ისიც საკითხავია, იყო კი მიზანშეწონილი ამხელა ვალის წამოკიდება მაშინ, როცა მთავრობა გვეტრაბახებოდა, რომ ბიუჯეტში პროფიციტი ჰქონდა და ჭარბი თანხები რაში დაეხარჯა აღარც კი უწყოდა (!?).

იხ. 11 გვ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთის ჯარების გამოყვანა საქართველოდან, როგორც ეტყობა, დაიწყო




**საქართველოდან რუსეთის ჯარების გამოყვანა, სეპარატისტული ტერიტორიების გამოკლებით, ალბათ, დაიწყო კვირას სამხრეთ ოსეთის გვერდით მდებარე პირველი ბლოკპოსტის დემონტაჟით.** დემონტაჟი წარმოებს შეთანხმების თანახმად, რომელიც ითვალისწინებს ყველა ჯარისკაცის გამოყვანას 10 ოქტომბრისთვის. ევროპელ მეთვალყურეთა მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში ჰანს იორგ ჰაბერმა განაცხადა „სხვადასხვა სამეთვალყურეო და საკონტროლო პუნქტებიდან გასვლისთვის მზადების შესახებ“.

ეგრეთ წოდებული საკონტროლო-გამშვები პუნქტი ალში, რომელიც განლაგებულია სოფელ ნაბაკევში, რაც ერთი კილომეტრითაა დაშორებული ამ სოფლიდან, მოხდა დემონტაჟი კვირას ევროპელი მეთვალყურეების კონტროლით. ეს პირველი ბლოკპოსტია, რომელიც მოიხსნა მისიის დაწყების მომენტიდან 1 სექტემბერს და რომელიც უნდა იძლეოდეს რუსი ჯარების გამოყვანის გაასრანტიას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ზონებიდან. აგვისტოს დასაწყისში თბილისმა დაიწყო სამხედრო მოქმედებანი სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ, რაზეც მოსკოვმა უპასუხა საქართველოს ტერიტორიაზე ჯარების მასობრივი შეყვანით.

ალის საკონტროლო-გამშვებ პუნქტიდან „ქართული პოლიცია და მეთვალყურეები აცილებდნენ 7 სამხედრო სატრანსპორტო და სატვირთო მანქანას სამხრეთ ოსეთის საზღვრის ადმინისტრაციამდე“, – იტყობინება ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის პრესმდივანი. დღის მეორე ნახევარში საკონტროლო-გამშვებ პუნქტის ადგილზე დარჩა მხოლოდ ბეტონის ორი ბლოკი და ქვიშით სავსე ტომრები, რომლებიც გადაიტანეს გზის ბორდიურზე.

ადგილობრივი ქართველი პოლიციელის სიტყვებით, ბლოკპოსტზე, რომელიც დააყენეს აგვისტოს შუა რიცხვებში, იმყოფებოდა 3 ათეული ჯარისკაცი და რამდენიმე ტანკი. იგი განთავსებული იყო სამხრეთ ოსეთის საზღვრიდან 15 კილომეტრში, „ბუფერული ზონის“ პირველ ხაზზე, რომელიც შექმნა რუსეთის არმიამ და ღრმად იყო შეჭრილი საქართველოს ტერიტორიაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროპელ მეთვალყურეთა მისიის ოფიციალური წარმომადგენლის სიტყვებით, ბლოკპოსტები ქვენატკოცსა და ნადარბაზევში, რომლებიც მდებარეობენ ქალაქ გორის სამხრეთით, უნდა მოიხსნას ორშაბათს დილით. რუსეთის სამხედრო სატვირთო მანქანების გადაადგილება, რომლებსაც ძირითადად გადააქვთ შეიარაღება, კვირას შეიმჩნეოდა ორი ბუფერული ზონის სხვადასხვა ადგილას. ჟურნალისტებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ რუსი ჯარისკაცები ახდენენ მავთულხლართების დემონტაჟს და გამოაქვთ ტექნიკა, სულ ცოტა სამი პოზიციიდან აფხაზეთის მახლობლად. დაახლოებით 15-მა სამხედრო სატვირთო მანქანამ და 4-მა ჯავშანტრანსპორტიორმა გადაკვეთა ხიდი ენგურზე.

რუსეთის ჯარების გამოყვანა ამ ტერიტორიიდან გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც დაიდო მოსკოვსა და ევროკავშირს შორის 8 სექტემბერს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ევროკავშირის მისიის ჩამოსვლამდე ბუფერულ ზონებში რჩებოდნენ 800 სამხედრო ჯარისკაცი 18 პოზიციაზე. ჯარების გადაადგილება დაიწყო ორი დღის შემდეგ ტერაქტიდან ცხინვალში რუსეთის სამშვიდობოების გენერალური შტაბის მახლობლად, რის შედეგადაც დაიღუპა 8 ჯარისკაცი.

რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურა პასუხისმგებლობას ტერაქტზე საქართველოს აკისრებს, რომელიც, თავის მხრივ, უარყოფს ამ ბრალდებას და ტერაქტს მიიჩნევს რუსეთის ჯარების „ტაქტიკურ სვლად გაყვანის შეჩერების მიზნით“.

რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა 26 აგვისტოს და განაცხადა, რომ განზრახული აქვს განათავსოს თითოეულ ამ ტერიტორიაზე 3800 სამხედრო მოსამსახურე.

LEFIGARO



# გაერო რუსეთს საქართველოდან დროულად გამოსვლას მოუწოდებს

**გასულ უქმე დღეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ატეხა განგაში საქართველოში ძალადობის გაგრძელებასთან დაკავშირებით და მოუწოდა რუსეთს, დაიცვას შეთანხმება თავისი ჯარების გამოყვანის შესახებ 10 ოქტომბრისთვის.**

რუსმა ჯარებმა აიღეს ბლოკპოსტი ბუფერული ზონის საზღვარზე 20 კილომეტრის ფარგლებში, რაც მათ დაიკავეს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საქართველოსთან კონფლიქტის დამთავრების შემდეგ და დადეს პირობა, რომ აიღებდნენ კიდევ ორ ბლოკს, რაც კარგი ნიშანი იყო.

როგორც უოლტერ კალინმა, გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა ქვეყნის შიგნით გადაადგილებულთა უფლებების დაცვის საკითხებში, აღნიშნა, „ძალადობა შეიარაღებული ძალების მხრიდან და ფართოდ გავრცელებული მაროდიორობა ბუფერულ ზონაში გორის ჩრდილოეთით მიუღებელია და დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს“. მისი სიტყვებით, საქართველოში ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის განლაგება ევროკავშირის მიერ მიღებული შეთანხმების ფარგლებში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რამაც რუსეთს დააკისრა ვალდებულება გამოიყვანოს ჯარები ქვეყნიდან, იყო „მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი“ კანონისა და წესრიგის აღდგენის გზაზე.

ევროკავშირის მისიამ კვირას განაცხადა, რომ რუსმა ჯარისკაცებმა მისცეს მეთვალყურეებს შეუზღუდავი უფლებები ბუფერულ ზონაში, თუმცა სამხრეთ ოსეთში შესვლა დაკეტილი აღმოჩნდა.

კრემლმა კონფლიქტის დამთავრება აღნიშნა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით, რაც დაგმო საერთაშორისო გაერთიანებამ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომადგენელმა შოთა უტიაშვილმა განაცხადა, რომ რუსი ჯარები დაგვპირდნენ კიდევ ორი ბლოკპოსტის აღებას და ბუფერული ზონის 10 ოქტომბრისათვის დატოვებას. „საეჭვოა, რომ მათ გამოყვანა გადადონ“, – აღნიშნა მან.

როგორც კალინმა აღნიშნა, „შიშის ატმოსფერო“, რომელიც დგას ბუფერულ ზონაში, არ აძლევს საშუალებას რეგიონიდან გაქცეულ ადამიანებს, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში.

ის მიესალმა საქართველოს ნაბიჯებს მუდმივი საცხოვრებლების მშენებლობის დაწყების შესახებ 30 ათასი კაცისთვის, რომლებიც გამოძევებული იქნენ კონფლიქტის ზონიდან და მოუწოდა მთავრობას, მოახდინოს 200 ათასზე მეტი ქართველის ინტეგრირება, რომლებიც გადაადგილდნენ 1990-იანი წლების დაუნდობელი სამოქალაქო ომის დროს და „რომელთაგან ბევრი ძველებურად ცხოვრობს კოლექტიურ თავშესაფრებში მიუღებელ პირობებში“.

**იზაბელ ჰერსტი**

FINANCIAL TIMES

# „თუ მიდიან, რისთვისღა აშენებენ რუსები ახალ გზას?“

**ახალგორის მცხოვრებლები, პატარა ქალაქისა, რომელიც თბილისიდან სულ რაღაც 25 მილშია, ამტკიცებენ, რომ რუს ჯარებს გაჰყავთ ახალი მაგისტრალი სამხედროების მომარაგებისთვის.**

კვირას რუსმა ჯარებმა დაიწყეს საქართველოში ბლოკპოსტების გათავისუფლება, რომლებიც შეიქმნა აგვისტოს ომის შემდეგ. პარასკევს გადის ვადა, რომლის დროსაც ყველა რუსმა ჯარისკაცმა უნდა დატოვოს საქართველო ცეცხლის შეწყვეტის იმ შეთანხმების პირობით, რომელიც დაიდო ევროკავშირის შუამავლობით.

რუსმა სამხედროებმა უნდა დატოვონ, მათ შორის ახალგორიც.

მაგრამ რისთვისღა ახდენენ რუსები გრუნტის გზის მოდერნიზაციას, რომელიც ახალგორს აერთებს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალთან? – კითხულობენ ქალაქის მცხოვრებნი. მათი სიტყვებით, ეს მოწმობს რუსების გეგმებზე – დარჩნენ ადგილზე, ან, როგორც მინიმუმი, შექმნან პირობები სწრაფი დაბრუნებისთვის.

ახალგორი მდებარეობს ხეობაში სამხრეთ ოსეთის პერიფერიაში. ამ დე ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფოს ძირითადი ნაწილისგან იგი გამოყოფილია მთიანი ტყით. 1992 წლის დასაწყისიდან, როდესაც დაიწყო საბრძოლო მოქმედებანი, დაბლობი იმყოფებოდა საქართველოს ხელისუფლების ქვეშ, მაგრამ 17 აგვისტოს იგი დაიპყრეს რუსმა ჯარებმა და სამხრეთოსეთელმა სეპარატისტებმა.

რუსეთის მხარეს გაჰყავს ეს გზა, ვინაიდან ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობა, არ აპირებენ აქედან წასვლას, მიიჩნევს ექსპერტი ალექსანდრე რონდელი.

ახალგორის რაიონის დაკარგვა საქართველოსთვის კატასტროფა იქნება, ვინაიდან ქვეყნის დედაქალაქი თბილისი ძალიან ახლოსაა მასთან, განმარტავს იგი. „ტანკებით ამ გზატკეცილზე მათ ნახევარ საათში შეუძლიათ თბილისში შესვლა“. – ამტკიცებს რონდელი.

თუ რუსეთი მიზნად ისახავს ჯარების გამოყვანას შეთანხმებულ ვადაში – 10 ოქტომბრისთვის, მაშინ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს საგზაო სამუშაოების წარმოებას, რასაც რამდენიმე თვე დასჭირდება, აღნიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც არ ისურვა სახელის გამჟღავნება, ვინაიდან იგი არ არის უფლებამოსილი განიხილოს საჯაროდ ეს საკითხი.

ევროკავშირი დარწმუნებულია, რომ რუსეთი დაიცავს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და გამოიყვანს ჯარებს, განაცხადა საქართველოში ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის დროებითმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა იური ლაასმა.

მისი სიტყვებით, ევროკავშირში შემოვიდა ინფორმაცია საგზაო სამუშაოების შესახებ, მაგრამ მეთვალყურეებმა ვერ დაადასტურეს ეს ფაქტი დამოუკიდებელი წყაროებიდან და არ მიიჩნევენ, რომ ეს ფაქტი მოწმობს, თითქოს რუსი ჯარები დარჩებიან ახალგორში.

დაახლოებით 200 ევროპის სამოქალაქო მეთვალყურემ შარშან დაიწყო ბუფერული ზონების პატრულირება 4 მილის სიგანით, რომელიც გარს ერტყმიან ორ პროვინციას, რომლებიც გამოეყვნენ საქართველოს – სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს.



მეთვალყურეები შეიარაღებული არ არიან. რუსმა და სამხრეთოსეთელმა ძალებმა არ შეუშვეს მეთვალყურეები ახალგორში, რომელიც რამდენიმე მილის დაშორებითაა ბუფერული ზონიდან.

კვირას ევროკავშირის მეთვალყურეებმა გვაცნობეს, რომ რუსი ჯარისკაცები გავიდნენ თავისი ბაზიდან ნადარბაზევში, საქართველოს დედაქალაქიდან ჩრდილო დასავლეთით. გაურკვეველია, თუ რამდენი რუსული ბლოკპოსტისა და ბაზის დემონტაჟი უნდა მოხდეს ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ხელშეკრულების შესაბამისად. უფრო ადრე რუსეთმა განაცხადა, რომ შექმნიდა 18 ბაზას თითოეულ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში. მაგრამ რუსეთმა ასევე მკაფიოდ განაცხადა, რომ ითვალისწინებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სულ ცოტა 8 ათასი სამხედრო მოსამსახურის შენარჩუნებას ადგილობრივი მოქალაქეების დაცვისათვის საქართველოსგან.

აგვისტოს ომის დროს ახალგორის ბევრი მცხოვრები გაიქცა ქალაქიდან. დარჩენილი ქართული მოსახლეობა ამბობს, რომ სავსებით ძალღონე გამოცლილები არიან ორი თვის დაშინებით, ცემითა და ძარცვით რუსი და სამხრეთოსეთელი სამხედრო მოსამსახურეების მხრიდან.

ჯარისკაცები „თვრებიან, უმიზნებენ იარაღს ხალხს და ისვრიან ჰაერში. ისინი სცემენ ადამიანებს“ არაფრისათვის, ამბობს საშუალო ხნის მამაკაცი, რომელმაც მხოლოდ თავისი სახელი შოთა დაასახელა.

ისევე, როგორც დარჩენილ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც ახალგორში ცხოვრობენ, მას ეშინია რუსი და სამხრეთოსეთელი სამხედროების რეპრესიებისა.

„ჩვენ ასეთი ცხოვრება აღარ შეგვიძლია. ჩვენ უკვე ვგიჟდებით, – ამბობს ევგენია. ის იწყებს ტირილს და სახეს აკანკალებული ხელით იფარავს. – ჩვენ აქ, როგორც ციხეში, ისე ვართ“.

**დენ კეტჩპოული**

THE CHRISTIAN SCIENCE MONITOR

ცხელ გულზე

# ისრაელის მსგავსი არმიის შექმნას სხვა ზნეობა და პატრიოტიზმი უნდა!..



**გამოდის პატივცემული კეზერაშვილი ტელევიზიით და ქვეყნის სამხედრო კონცეფციაზე საუბრობს. ჩვენ, ალბათ, ისრაელისთანა არმია უნდა შევქმნათო, მცირერიცხოვანი, მაგრამ მობილურიო...**

ჩემი აზრით, არ გამოვა ეგ საქმე, და იცით რატომ?! ისრაელში დიდ-პატარას გათავისებული აქვს, რომ „ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი". მტრის გარემოცვაში მყოფ ამ სამაგალითო ქვეყანას იცავს ყველა, ვისაც ჯარის ასაკი უწევს, იცავენ ვაჟები, იცავენ ქალები... ლეგენდასავით დადის: ისრაელში სუფრასთან არ დასვამენ ახალგაზრდას, ვისაც სავალდებულო სამხედრო სამსახური არ აქვს გავლილიო... იქაურებისთვის მართლაც ხატია სამშობლო, რომელსაც, აგერ, 60 წელიწადია რწმენით, რუდუნებით აშენებენ, ჩვენს ქვეყანაში კი, სადაც დღესაც აქტუალურია ვაჟა-ფშაველას ნატვრა: „ღმერთო, შეაყვარე ქართველს ქართველი", შეიძლება მობილური არმიის შექმნა?! ქვეყანაში, სადაც უმრავლესობა ცხოვრობს პრინციპით — სხვისმა შვილმა დაიცვას სამშობლო, სხვისი შვილი წავიდეს ჯარში, შეიძლება მტრის დამარცხებაზე ფიქრი?!

აქ კატასტროფულად მატულობს და მატულობს (ვითომ არ კმაროდაძ საქართველოდან სხვა ქვეყანაში წასვლის მოსურნეთა რიცხვი. ამ რამდენიმე დღის წინათ შემზარავი ინფორმაცია მოვისმინეთ: თურქეთ-საბერძნეთის საზღვრის გადაკვეთისას ნაღმზე აფეთქდა საბერძნეთში ბედ-იღბლის საძებრად მიმავალი ოთხი ქართველი ახალგაზრდა!

ისრაელის შესადარი ქვეყნის არმიის შექმნაზე რომ ოცნებობთ, ჯერ ის უნდა გაიხსენოთ, გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს როგორ დაიძრა მთელი საბჭოთა კავშირის ებრაელობა ისტორიული სამშობლოსკენ, რათა უდაბნოში, ქვიშაზე ბაღნარივით სახელმწიფო აეშენებინათ... ამ თემაზე, სხვათა შორის, შესანიშნავი დოკუმენტური ფილმი გადაიღო რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა გურამ ბათიაშვილის სცენარით — „თუ დაგივიწყო ერუშალაიმ!".

საქართველოს ხელისუფლების (არა მარტო ამ ხელისუფლებისძ უგერგილობით კი „ბაღნარი საქართველო" გაუდაბურების პირას მივიყვანეთ!.. დავთესეთ უიმედობა, ნიჰილიზმი, ერთი დღით ცხოვრების ფსიქოლოგია!...

ჯერ სამშობლო შეაყვარეთ ამ ახალგაზრდებს, ბატონებო, სამშობლო, რომელიც დაშალეთ და დაანაკუწეთ, თორემ ძალად შეკოწიწებული არმიის ჯარისკაცები, ასე მგონია, დეზერტირობაზე უფრო იფიქრებენ, ვიდრე სამხედრო ხელოვნების ათვისებაზე!

ახლა ზოგი შემედავება და სავსებით საფუძვლიანად: აგვისტოს მოვლენების დროს ლომებივით იბრძოდნენ ჩვენი ბიჭებიო... კი ბატონო, მაგრამ რა მაგალითი მისცა „ზედა ეშელონმა", თვით პრეზიდენტმა, ქვეყნის მთავარსარდალმა რიგით ჯარისკაცს?... სიმხდალისა და ბრძოლის ტაქტიკის არცოდნის!

ეს მაგალითები, კარგა ხანს, იმედგაცრუებად გაჰყვება ჩვენს ახალგაზრდობას!

გადაგვარების მაგალითი

**სხვათა შორის, არ გაგვკვირვებია! ამ უზნეობის აღზევებისა და ერის გადაგვარების ჟამს, რომ იტყვიან, ყველაფერს მოვესწარით... ჰოდა, არც ეგ გაგვკვირვებია: ვიღაც არაკაცს (არაკაცებსძ გამომცემლობა „სამშობლოს" მეოთხე სართულზე, სადაც, „ვარდოსნების" ცნობილ ოპერაციამდე, ჩვენი, ანუ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია იყო განთავსებული და შო-**





# «აწყობილი» რუსთაველი

## მას შემდეგ, რაც „უპატრონო ეკლესიას" დაპატრონებულმა „ეშმაკებმა" იგი ნამსხვრევებად აქციეს



თა რუსთაველის ბიუსტიც დერეფნის ერთ-ერთ კუთხეში იდგა, არ მოსწონებია ეს თაბაშირის ქანდაკება და სულ ნაკუწებად უქცევია იგი. მაგარია, არა?!... ვაი, ჩვენს პატრონს!

წელიწადზე მეტია, რაც ეს შენობა, სპეცოპერაციის შედეგად, რედაქცია-გამომცემლობებისგან „გაანთავისუფლა" „ტვინიკოსმა" ხელისუფლებამ, რომ იტყვიან, „გადაიკიდა" ასობით ჟურნალისტი და უპატრონოდ დააგდო ინვესტორის მოლოდინში.

ვითომ, დაცვა კი დგას, მაგრამ ვინ აღარ შედის და გამოდის შენობაში, გავერანდა იქაურობა, თუ რაიმე მოსატაცებელი და მოსაპარი იყო, მოიტაცეს და მოიპარეს, ამასობაში აგვისტოს უბედურებამაც გვიწია და ხელისუფლებამ შიდა ქართლიდან დევნილები შეასახლა შენობაში.

ახლა მე თავს ვერ დავდებ, ვისი ხელი ურევია რუსთაველის ბიუსტის დამსხვრევის „ოპერაციაში — აქაური არაკაცის თუ დევნილისა, უდავოა, რომ სამარცხვინო და აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა, და კიდევ კარგი, სანამ ნაგვის მანქანა წაიღებდა, დამსხვრეულ-დაჩეჩქვილი გენიალური პოეტის ბიუსტს თვალი მოჰკრა მეოთხე სართულზე შემთხვევით მიმავალმა, გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბის თანამშრომელმა, კულტურის დამსახურმა მუშაკმა თენგიზ თომაძემ. სულ მისხალ-მისხალ აკრიფა იატაკიდან ნამსხვრევები ჩვენმა თენგიზმა, ჩაიტანა საამქროში, როგორც თვითონ ამბობს, 50 ნაწილისგან ააწყო და თავდაპირველი სახე დაუბრუნა.

მადლობა ღმერთს, საბედნიეროდ, არაკაცებს, მაინც კაცები და მამულიშვილები სჭარბობენ, ისეთები, როგორიც თენგიზ თომაძეა.

მიღვწიან, მომიგონებენ...

***ილია ზაქაიძე სხვა იყო, მის ფანდურზე დამღერებულს სხვა მადლი ახლდა. „ლექსი ვეფხისა და მოყმისა", „სალაღობო"... ღმერთო, როგორ ველოდი ბავშვობაში რადიოში ამ ხმას! ღმერთო, ხალხური სიმღერის რა სიყვარულს მინერგავდა იგი!.. „დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ", ვიმეორებდი და ილია ზაქაიძეს ვბაძავდი ხმის მიმოხვრაში.***

# საქართველო იყო მისი საოცნებო სახელი

უკვე თბილისში, ჩემმა პროფესიამ გამაცნო მომღერალი, ერთ-ორჯერ შევხვდი კიდეც, მისი დაბადების 80 წლისთავის დღეებში წერილიც დავწერე „ძია ილოზე" ...

უკვე ველარ მონაწილეობდა იგი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის" გახმაურებულ კონცერტებში, მშობლიურ დუშეთში ცხოვრობდა, იქიდან ეფერებოდა მთელ საქართველოს... ავადმყოფობდა და წელს, გაზაფხულის პირზე დაგვემშვიდობა კიდეც სამუდამოდ... ოღონდ, დარჩა სიმღერა — ნაღდი, გულში ჩამწვდომი, პირველი ხმა „ჩაკრულოში" — კოსმოსში აკასკასებული...




ილია ზაქაიძის ღვაწლს ქართული ფოლკლორის წინაშე ხავსი არ მოეკიდება. დაიწყო კიდეც მისი სახელის უკვდავყოფა, ამ გაზაფხულზე დუშეთის კულტურის სახლში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის ინიციატივით გაიმართა ილია ზაქაიძის ხსოვნის საღამო, გამოვიდა ბევრი ღირსეული მამულიშვილი, მოიგონეს ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი... ბევრი კარგი საქმის ორგანიზატორი, ჩოხოსან რაინდთა დასი, პროფესორ გოგი დოლიძის თავკაცობით, კიდევ ერთი ინიციატივით გამოვიდა: მომავალი წლის ზაფხულში დუშეთში ჩატარდება ილია ზაქაიძის სახელობის ფესტივალი მოსწავლე-ახალგაზრდობის თვითმოქმედი ანსამბლებისათვის და იგი ტრადიციული გახდება.

ახლახან კი ჩოხოსან რაინდთა დასმა გამოსცა შესანიშნავად დასურათხატებული ბროშურა, რომელშიც მთელი გზაა აღწერილი ჭეშმარიტად სახალხო მომღერლისა.

მადლიერება

# ანანო რომ ავად იყო...

**...ჩემი საფიცარი შვილიშვილი ძლივს დგას ფეხზე, სიცხიანია, ძველებურად ველარ შემომხვდა სამსახურიდან მისულს. აბა, წავედით დიღომშიო, მურმან იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოშიო, ბრძანა ჩემმა მეუღლემ და ნახევარ საათში უკვე საავადმყოფოში ვართ.**

... რამდენიმე დღე იწვა ანანო აქ, მესამე სართულზე, პედიატრიული დეპარტამენტის მედპერსონალის ყურადღების ქვეშ.

ყურადღებას კი ამ დაწესებულებაში, მართლაც არ აკლებენ პატარა პაციენტებს. პედიატრიული დეპარტამენტის მიმართულების ხელმძღვანელის **დავით მახათაძის,** ექიმი-პედიატრის **ხათუნა ჯგუშიას** და სხვათა — ექიმებისა და ექთნების მაღალპროფესიული საქმიანობა, ნორჩ პაციენტთა ჯანმრთელობაზე დაუცხრომელი ზრუნვაა და ეს ეტყობა კიდეც ავადმყოფი ბავშვების მშობელთა საიმედო გუნებაგანწყობილებას.

ჰოდა, ვუთხრათ მადლობა ამ ადამიანებს, ჩემი ანანიკო რომ დღეს ისევ მერცხალივითაა, ამ პედიატრების დამსახურებაცაა.

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

ძიუდო

# საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია



**სეზონის ფარდის დაშვების წინ ქართველმა ძიუდოისტებმა კიდევ ერთ სასახელო გამარჯვებას მიაღწიეს — ტოკიოში გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზე ყველა მეტოქეს სძლიეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.**

ახლა კი უფრო დაწვრილებით: წლის შედეგების მიხედვით, გუნდურ ჩემპიონატზე, ჩვეულებრივ, რვა ნაკრები მონაწილეობს. ამჯერადაც ასე იყო. ამომავალი მზის ქვეყანაში მასპინძლებთან ერთად თავი მოიყარეს საქართველოს, რუსეთის, კორეის, უზბეკეთის, ბრაზილიის, ახალი ზელანდიისა და ალჟირის უძლიერესმა ფალავნებმა.

წილისყრამ ჩვენი მოჭიდავეები ძლიერ ქვეჯგუფში მოახვედრა. პირველ წრეში ისინი კორეელებს დაუპირისპირდნენ. ქართველთა უპირატესობა აშკარა იყო და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს — 6:1. სამაგიეროდ, ბრაზილიელთა წარმატება მოინათლა სენსაციად, იმის მიუხედავად, რომ ოკეანისგაღმელთა შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები გამოდიოდნენ. ბრაზილიელებმა იაპონელები დაამარცხეს 3:2. პირველ ჯგუფში უზბეკებმა ზელანდიელები გაანადგურეს — 7:0. ასეთივე ანგარიშით რუსეთმა ალჟირი დაამარცხა.

ნახევარფინალში საქართველოს ნაკრებმა ბრაზილიის ეროვნულ გუნდს მოუგო 5:1, უზბეკებმა კი რუსები დაამარცხეს — 4:3, დაძაბული გამოდგა გადამწყვეტი ორთაბრძოლა. ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ხაბარელის შეგირდებმა (ნესტორ ხერგიანი, მინდია ხომიზური, ზაზა კედელაშვილი, დავით ქევხიშვილი, ვალერი ლიპარტელიანი, ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჭორჭოლიანი, ლაშა გუჯეჯიანი, ნოდარ მეტრეველიძ აქაც იყოჩაღეს — 4:2 სძლიეს მეტოქეს და საკუთარი კოლექცია 2006 წელს მოპოვებულ გუნდურ მსოფლიო თასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულითაც გაიმდიდრეს. საგულისხმოა, რომ ტოკიოში ხერგიანმა და ლიპარტელიანმა, რომელმაც წლეულს ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა და ახლა თანატოლთა შორის მსოფლიო პირველობისთვის მოემზადება, სამივე შეხვედრა მოიგეს, ხოლო 73-დან 81 კილოში ანაცვლებულმა ქევხიშვილმა ბრაზილიელებთან და უზბეკებთან პაექრობისას გადამწყვეტ შეხვედრებში შესძინა გუნდს მომგებიანი ქულები.

მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები ბრაზილიელებსა და რუსებს ხვდათ, რომლებმაც, შესაბამისად, ალჟირელები (7:0ძ და იაპონელები (4:3ძ დაჯაბნეს.

ფეხბურთი

# საით, ცოზელის „დინამო“?!



**რა მოსდის თბილისის „დინამოს“? — კითხულობს ბევრი გულშემატკივარი ამ დღეებში. მართლაც, როგორი საქმეა, როცა ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ეროვნული ჩემპიონატის სტარტზე სამ მატჩს წააგებს და სატურნირო ცხრილში მისთვის უჩვეულო მეშვიდე პოზიციამდე დაქვეითდება.**

ეს ფაქტი, რასაკვირველია, მრავლისმეტყველია, თუმცა რაღაც განსაკუთრებულად და არაორდინარულად ნამდვილად არ გამოიყურება — ჩავარდნა და დროებითი კრიზისი ხომ ნებისმიერ გუნდს ჰქონია და გამონაკლისს არც რაინერ ცოზელის შეგირდები წარმოადგენენ, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დაწყებისთანავე გერმანელმა მწვრთნელმა სამშობლოში მოკურცხლა და ბიჭების წინასასეზონო მოსამზადებელი ციკლი, ფაქტობრივად, ჩააგდო. ჰოდა, კეთილი ინებოს ახლა და მდგომარეობა სასწრაფოდ გამოასწოროს.



**ეროვნული ჩემპიონატის V ტურის შედეგები:**

„ლოკომოტივი“ — „მგლები“ 0:1 (გუჩუაძ, „ზესტაფონი“ — „დინამო“ 1:0 (გოცირიძეძ, „ცხინვალი“ — „ბორჯომი“ 1:2 (ჯანგიძე; ნოზაძე, ბეჟანიძეძ, „ოლიმპი“ —„ვიტ ჯორჯია“ 0:0, „გაგრა“ — „სიონი“ 1:1 (გაბედავა — პენალტით; კოშკაძეძ. ისვენებდა „მესხეთი“.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ვიტ ჯორჯია“ — 10, „მგლები“, „ლოკომოტივი“ — 9-9, „ზესტაფონი“, „გაგრა“, „ბორჯომი“ — 7-7, „დინამო-, „სიონი“ — 6-6, „მესხეთი“ — 5, „ოლიმპი“— 3, „ცხინვალი“ — 0 ქულა.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „გაგრა“ — „ცხინვალი“, „ბორჯომი“ — „ლოკომოტივი“, „ვიტ ჯორჯია“ — „ზესტაფონი“ (18 ოქტომბერსძ, „მესხეთი“ — „დინამო“, „მგლები“ — „ოლიმპი“ (19 ოქტომბერსძ. ისვენებს „სიონი“.

* * *

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის თასის“ გათამაშების მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა: „ზესტაფონი“ — „დინამო“, „ლოკომოტივი“ — „სიონი“, „ვიტ ჯორჯია“ — „მერანი“ (მარტვილიძ, „ოლიმპი“ — „ამერი“.

**ამ ეტაპის შეხვედრები 12 და 26 ნოემბერს 14 საათზე დაიწყება.**

* * *

**იტალია. VI ტური.** „ლაციო“ — „ლეჩე“ 1:1, „უდინეზე“ — „ტორინო“ 2:0, „ინტერი“ — „ბოლონია“ 2:1. „იუვენტუსი“ — „პალერმო“ 1:2 (გადამწყვეტი გოლი ბუფონის კარში ლევან მჭედლიძემ გაიტანა).

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლაციო“, „უდინეზე“, „ინტერი“ — 13-13 ქულა.

**ბომბარდირი:** სარატე („ლაციო“ძ — 6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბოლონია“ — „ლაციო“, „ლეჩე“ — „უდინეზე“, „რომა“ — „ინტერი“.

**ესპანეთი. VI ტური.** „ვალიადოლიდი“ — „ვალენსია“ 0:1; „ვილიარეალი“ — „ბეტისი“ 2:1, „სევილია“ — „ბილბაო“ 4:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვალენსია“, „ვილიარეალი“ — 16-16, „სევილია“ — 14 ქულა.

**ბომბარდირი:** ვილია („ვალენსია“ძ — 6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ვალენსია“ — „ნუმანსია“, „ესპანიოლი“ — „ვილიარეალი“, „ალმერია“ — „სევილია“.

**ინგლისი. VII ტური.** „ჩელსი“ — „ასტონ ვილა“ 2:0. „სიტი“ — „ლივერპული“ 2:3, „ტოტენჰემი“ — „ჰალი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჩელსი“, „ლივერპული- — 17-17, „ჰალი“ — 14 ქულა.

**ბომბარდირები:** დეფო („პორტსმუთი“ძ, ტორესი („ლივერპული“ძ, ზაკი („უიგანი“ძ — 5-5 გოლი.

**შემდეგი ტური:** „მიდლსბრო“ — „ჩელსი“, „ლივერპული“ —„უიგანი“, „ჰალი“ —„ვესტ ჰემი“.

**გერმანია. VII ტური.** „კოტბუსი“ — „ჰამბურგი“ 1:2, „ჰოფენჰაიმი“ — „აინტრახტი 2:1, „შტუტგარტი“ — „ვერდერი“ 4:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ჰამბურგი“ — 16, „ჰოფენჰაიმი“, „შტუტგარტი“ — 13-13 ქულა.

**ბომბარდირები:** იბიშევიჩი („ჰოფენჰაიმი“ძ, ჰელმესი („ლევერკუზენი“ძ — 7-7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ჰამბურგი“ — „შალკე“, „ჰანოვერი“ — „ჰოფენჰაიმი“, „ჰერტა“ — „შტუტგარტი“.

რაგბი

# „ლოკომოტივი“ მეორედ დაამუხრუჭეს



**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში გასულ უქმეებზე სამი მატჩი გაიმართა. მომეტებულ ინტერესს, ცხადია, ერთპიროვნული ლიდერის — „ლოკომოტივისა“ და „ვისოლი-ყოჩების“ პაექრობა იწვევდა. 9 ტურის განმავლობაში რკინიგზელებს მხოლოდ ერთი წაგება ჰქონდათ. შეხვედრა ორმხრივი იერიშებით დაიწყო. მე-15 წუთისთვის „ლოკომოტივი“ დაწინაურდა და ეს უპირატესობა პირველი ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნა — 10:5.**

შესვენების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონები — „ყოჩები“ გააქტიურდნენ და მიზანსაც მიაღწიეს: საბოლოოდ 23:18 გაიმარჯვეს და გათამაშების ცხრილში მე-6 გამარჯვება ჩაიწერეს.

პოზიციები განიმტკიცა „ლელომ“, რომელიც მეორე ადგილზე იყო და ერთპიროვნულ ლიდერს ოთხი ქულით ჩამორჩებოდა. მეათე ტურში მან „აკადემიას“ აჯობა 35:7.

ქუთაისის „აიამ“ შინ აუტსაიდერს „არმაზს“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია — 28:12 და საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის შანსი შეინარჩუნა.

**გათამაშების ცხრილი 7 ოქტომბრისთვის**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ | 10 | 8 | 0 | 2 | 16 |
| „ლელო | 10 | 7 | 0 | 3 | 14 |
| „უნივერსიტეტი“ | 10 | 6 | 1 | 3 | 13 |
| „ყოჩები“ | 10 | 6 | 0 | 4 | 12 |
| „აკადემია“ | 10 | 5 | 0 | 5 | 10 |
| „აია“ | 10 | 4 | 1 | 5 | 9 |
| „„დინამო“ | 10 | 2 | 0 | 8 | 4 |
| „არმაზი“ | 10 | 1 | 0 | 9 | 2 |

მემორიალი

# გაიხსენეს მირიან კაზარიანი

**ცხოვრობდა გორში ერთი ზნეკეთილი და გულიანი კაცი მირიან კაზარიანი — ინჟინერ-მშენებელი, სანიმუშო მეოჯახე და მეგობარი, რომელსაც ჭადრაკი იტაცებდა ძალიან. ხშირად იწვევდნენ მას სხვადასხვა შეჯიბრებაზე.**

**ადრე გაზაფხულზე ქალაქის პირველობისას მირიან კაზარიანს მოულოდნელად გული გაუჩერდა.**

**აგვისტოს დასაწყისში მისი ხსოვნისთვის პატივის მისაგებად მირიანის მეგობრებმა საჭადრაკო კლუბში მოიყარეს თავი, მაგრამ ამჯერად საქართველოს დაატყდა უბედურება, რუსეთმა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო აგრესია წამოიწყო: გორი დაიბომბა. მთლიანად დაილეწა კლუბის უზარმაზარი ვიტრინები, დააზიანა შენობაც. ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ აღდგენითი სამუშაოები დაიწყო — საჭადრაკო კლუბს პირვანდელი სახე დაუბრუნდა და ტურნირის მთავარმა მსაჯმა, ეროვნულმა ოსტატმა გურამ მუკნიაშვილმა კვლავ ჩართო საჭადრაკო საათები. 17 შესაძლებლიდან 14 ქულით მემორიალში ინჟინერ-ელექტრიკოსმა ზურაბ ჯანეზაშვილმა გაიმარჯვა. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ასევე ინჟინერ-ელექტრიკოსი თამაზ მშვიდობაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ბიძინა მაყაშვილი.**

**გამარჯვებულებს და პრიზიორებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.**

**გურამ ვაშაკიძე**

ფსკ „დინამო“

# შედეგებს შეაჯამებენ

**სასახელო საქმეებით გამოირჩევა საქართველოს ფიზკულტურულ-სასპორტო კლუბი „დინამო“, რომელიც არასამეწარმეო (არაკომერციულიძ, იურიდიული პირია.** მის წევრებს არაერთ შეჯიბრებაზე მიუღწევიათ წარმატებისთვის. საგულისხმო გამარჯვებებით ხელდამშვენებული ხვდებიან დინამოელები საანგარიშო-საარჩევნო კრებას, რომელიც 21 ოქტომბერს კაფე „სპორტში“ (წერეთლის გამზირი 2ძ 15 საათზე გაიმართება. თავყრილობაზე ისინი აღნიშნულ პერიოდში გაწეულ მუშაობას გააანალიზებენ, გამგეობაში ახალ წევრებს აირჩევენ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2006 წლის 14 დეკემბერს შესული ცვლილებებიდან გამომდინარე თავიანთი წესდების ახალ პროექტს განიხილავენ და დაამტკიცებენ.

**ეს ინფორმაცია რედაქციას საქართველოს ფიზკულტურულ-სასპორტო კლუბ „დინამოს“ გამგეობამ მოაწოდა.**

კარიკატურისტის თვალით

უსიტყვოდ

ამირან ერაძის ნახატი.



◎ ფრთხილად, იძებნება!

# დაკარგულია 500 მილიონი...



**(მეშვიდე გვერდიდან)**

ომში მარცხგამოვლილ ხელისუფლებას იმჟამინდელი ბაქიბუქი შეიძლება აღარც კი ახსოვს, მე კი მშვენივრად დამამახსოვრდა მაშინდელი პარლამენტარის, პროფესორ ვლადიმერ პაპავას რჩევა – თავი შეეკავებინა მთავრობას ასეთი გაუმართლებელი რისკისგან, ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, ვიდრე მსოფლიო ფინანსური კრიზისის საშიშროება არ გაივლიდა. თქვენც არ მომიკვდეთ, მაშინ საკუთარ გონიერებაში ღრმად დარწმუნებულმა ხელისუფლებამ ყურიც არ გაიბარტყუნა, ვალიც აიღო და, როგორც სარწმუნო წყაროებით ირკვევა, კიდევაც შეახრამუნა.

ისიც საკითხავია, იყო კი ქვეყნის ბიუჯეტი ნამდვილად პროფიციტური თუ ის სახელისუფლებო ფანტაზიათა წყებას განეკუთვნებოდა? იმავე ვლადიმერ პაპავას თუ დავუჯერებთ (ან რატომ არ უნდა დავუჯეროთ, როცა ის ამას ასაბუთებდაძ, მაშინ პროფიციტი არ გვქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა ისეთი ეკონომიკური შესაძლებლობების ქვეყანას, როგორიც საქართველოა. და თუ მაინც მთავრობას დავუჯერებთ და არა ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტს, მაშინ კიდევ უფრო გაუგებარი და ალოგიკური ხდება, პროფიციტური ბიუჯეტის მქონე ქვეყანას 500-მილიონიანი სესხის აღება რატომ უნდა დასჭირვებოდა?

ბატონ ლადო გურგენიძეს, რომელმაც ევროობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით იმ პერიოდში მთელი ევროპა და არაბეთი შემოიარა, ამაზეც აქვს პასუხი: აბა ნახეთ, რა წარმატებას გამოვკარით ხელი – ობლიგაციების ნახევარი ბრიტანელმა ინვესტორებმა შეიძინეს, 13 პროცენტი კი ოფშორულ ზონებში მომუშავე ამერიკული კომპანიების ანგარიშზე გადავიდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ობლიგაციების ნომინალური წლიური განაკვეთი 7,5 პროცენტს არ აღემატება, საწუწუნოც აღარაფერი დაგვრჩებაო.

მაგრამ მიზანი? სესხის აღება მაინც რა მიზანს ისახავდა? ჰე ბიჭო, მთავარი სესხის აღება იყო, თორემ შემოსული თანხის დახარჯვა რომ ჩვენს ფანტიამფლანგავ მთავრობას არ გაუჭირდებოდა, ამის გარანტია იმთავითვე არსებობდა, ბოლოს და ბოლოს ერთ ნაწილს გაზსაცავის მშენებლობას მოახმარდა, მეორე ნაწილს – მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ინვესტირებას, მესამეს – ქალაქების ფანტანიზებას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თუმცა საქმე ასე შორს არ წასულა – მაისში ქვეყანას საპარლამენტო არჩევნები წამოეწია და, როგორც ავი ენები ამბობენ, საობლიგაციო ბიზნესით გაიმასქნებული თანხები ამ დიდმნიშვნელოვან კამპანიას მოხმარდა. აბა როგორ, არჩევნებს „მოგება" ხომ უნდოდა?

ამას, რა თქმა უნდა, მთავრობა ხმამაღლა ვერ იტყვის, მაგრამ თუ ოპოზიციამ და მაინც და მაინც ხალხმა აიჩემეს და ევროობლიგაციებიდან შემოსული 500 მილიონი დოლარის ადგილსამყოფელის ზუსტი მისამართის დადგენა მოიწადინეს, იმის გამოცდილება კი ეყოფა, რომ თავი მორიგი ხაფანგიდან დაიძვრინოს. მე თუ მკითხავთ, ხაფანგს გამოგონება არც სჭირდება. აგერ ახლახან არ გადავიტანეთ რუსეთის მიერ თავსმოხვეული სისხლისმღვრელი ომი? **ომს ამოუწყორავი მუცელი აქვს და ყველაფრის ერთბაშად გადასანსვლა შეუძლია, მათ შორის იმ ყბადაღებული 500 მილიონი დოლარისაც.**

**დიახ, ომს ყველაფრის ჩამოწერა შეუძლია, თუ მოისურვა, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მთავრობისაც.**

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ომი და ადამიანები

# რუსეთის მზაკვრობის მოლოდინში

**მას შემდეგ, რაც სარდლობის უცოდინარობითა და გულგრილობით ბედის ანაბრად მიტოვებული ქართველი ჯარისკაცები რუსი აგრესორების მასიურ შეტევებს ველარ უძლებდნენ და არაორგანიზებულად, ჯგუფ-ჯგუფად იხევდნენ უკან, ქვეყნის მთავარსარდალმა მოსახლეობას შეიარაღებული ძალების პოტენციალის კიდევ უფრო გაძლიერებისკენ მოუწოდა.**

### „არშემდგარი ჯარისკაცები"

**ვიდრე პრეზიდენტი ამ მოწოდებას გააკეთებდა, ჩვენმა ჯარებმა ცხინვალი გაათავისუფლეს სეპარატისტთა ბანდებისაგან. მაგრამ ახალ ტერიტორიებზე ფეხი მხოლოდ ორი დღით მოიკიდეს.** უკან დახევის შესახებ ცნობები არ ვრცელდებოდა. საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმში მოექცა. ხელისუფლება საწინააღმდეგოს აცხადებდა, რომ ჩვენი ჯარები წინ მიიწევდნენ. ამ ინფორმაციასა და სააკაშვილის მოწოდებას ბევრი ახალგაზრდა ენდო. მათმა ნაწილმა ცხინვალისკენ გასწია – მოხალისეების რიგებში აპირებდნენ ჩაწერას. ზოგს არ გაუმართლა – დაიღუპნენ, რამდენიმე ტყვედ ჩავარდა.

სწორედ ტყვედნამყოფ ჯარისკაცებთან, 22 წლის ბიჭებთან ნიკა ხარაბაძესა და გიორგი მონასელიძისაგან აიღო ინტერვიუ „ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტმა. ახალგაზრდები თურმე ენდნენ ქვეყნის პირველი პირის განცხადებას, რომ ცხინვალის 70 პროცენტს ჩვენი ძალები აკონტროლებდნენ. მეგობრებს ეგონათ, რომ როდესაც ფრონტის ხაზს მიუახლოვდებოდნენ, იარაღს მისცემდნენ და საბრძოლო პოზიციებზე გაანაწილებდნენ. ბიჭები უცხოელ ჟურნალისტს უყვებიან, რომ ცხინვალთან მიახლოებულნი ქართულ სიმღერებს მღეროდნენ, რათა მათი აზრით, პოზიციებზე ჩასაფრებულ ჩვენს მებრძოლებს მტერში არ შეშლოდათ. მაგრამ, როგორც გაირკვა, ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ცხინვალი უკვე დატოვებულ ჰქონდათ. ქალაქში რუსები და ოსი ბოევიკები დათარეშობდნენ. სწორედ მათ ხელში აღმოჩნდნენ ცრუ იდეოლოგიის მსხვერპლი ინტერვიუერები.

ტყვეობის 19 დღეს კოშმარად იხსენებენ ხარაბაძე და მონასელიძე. იყო წამების სხვადასხვა მეთოდები, იძულებითი სამუშაოები (გარდაცვლილ ქართველთა ერთ ორმოში ჩაყრა და დამარხვაძ, დანგრეული სახლების შეკეთება, ქუჩების დალაგება წამების არაადამიანური მეთოდები (დახვრეტის იმიტაცია, ხორცის ამოგლეჯა და შიგ მარილის ჩაყრა) „22 წლის ვარ და თავი 70 წლის ბაბუა მგონია" – უხსნის ჟურნალისტს მონასელიძე.

ტყვედყოფილების განმარტებით მათ ყველა როდი ექცეოდათ ცუდად. ამ საქმეში ძირითადად აქტიურობდნენ რუსულ ენაზე გამართულად და გარშემო მყოფებთან რუსულად მოსაუბრეები, დანარჩენები (ალბათ სამხრეთელი ოსებიძ ტყვეებს ნორმალურადაც ექცეოდნენ, გამოყოფილი საკვებზე მცირე ნაწილს უმატებდნენ და ხელმძღვანელობისაგან აკრძალულ სიგარეტებსაც ფარულად აძლევდნენ. ბიჭები 19 დღეში 25 ქართველთან ერთად 73 წლის ტყვეში გაცვალეს.

### მაროდიორობა გარკვეული კასტისთვისაა ნებადართული

ოსი დედისა და ქართველი მამის შვილი ზურაბი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ, რადგანაც ცხინვალის რეგიონში მას ბევრი ნათესავი და მეგობარი ჰყავსძ, გვიყვება, რომ იჭერდნენ არა მხოლოდ ქართველებს, არამედ ოსებსაც. განსაკუთრებული სისასტიკით ექცეოდნენ ჩემისთანებს, შერეული ოჯახის შვილებს, საკანში ყოფნის დროს მოიყვანეს დედაჩემიც, ამბობს ზურაბი, მას ლანძღავდნენ, ქართველს როგორ გაყევი ცოლადო!

ინკოგნიტოდ დარჩენის მსურველი ზურაბი აცხადებს, რომ საკანში მოყვანის შემდეგ რამდენიმე წუთში ფსიქიკურად შეიშალა ერთი მერეთელი. მას ჯერ სახლი დაუწვეს და მერე ძირს დააგდეს, ზედ ბიძაშვილი დააწვინეს და დანით ყელი გამოჭრეს. დაკავებულს სახე, კისერი, მხრები შემხმარი სისხლით ჰქონდა დასვრილი, ჩამორეცხვის უფლებას არ აძლევდნენ.

მე იქაური კაცი ვარ და ბევრი ნათესავი, ახლობელი მყავს. ვიცი ვინ რითი სულდგმულობს, მოყვანილ ადგილობრივებს შორის შერეული ოჯახის წევრების გარდა, იყვნენ ადგილობრივი ქურდბაცაცები, რომელთაც ფაქტზე წაასწრეს. იყვნენ მსხვილი მაროდიორი ოსებიც. ისინი მხოლოდ იმისათვის დააკავეს, რომ უფლება არ ჰქონდათ ემარადიორათ. მაშინ, როდესაც სხვებისათვის ეს დაშვებული იყო, გარკვეულ კასტას პრივილეგიის სახით ჰქონდა მინიჭებული ძარცვა-ყაჩაღობა, – გვიხსნის ზურაბი.

ზურაბი იმასაც ამბობს, რომ საკანში ყოფნის დროს ჰქონდა საშუალება დაკვირვებოდა, თუ როგორ ექცეოდნენ ტყვეებს ადგილობრივები და ჩრდილოკავკასიელები.

### ქართულფორმიანი რუსები ქართველებსაც არბევდნენ და ოსებსაც

რუსებისა და კაზაკების დაუნდობლობის არაერთი მაგალითი გვაქვს, თანაც უახლესი ისტორიიდან. მაგრამ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთებასა და გაკვირვებას იწვევს ჩვენებური ოსების ვანდალიზმი თავიანთი თანამოძმეების, თანასოფლელების, ზოგჯერ სისხლით ნათესავი ქართველების მიმართ.

ოთარ მინდიაშვილი (ყოფილი უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკიძ: „ომის დროს მხარეები ცხოვრებაში მიუღებელ მეთოდებს იყენებენ, რაც უმეტეს შემთხვევაში (თუნდაც საომარი მოქმედებების დროსძ ამართლებს, ზოგიერთი ემსახურება ადგილობრივ მოსახლეობაში დამპყრობის მიმართ შულის დათესვას. ამის მიღწევის მრავალი ხერხი არსებობს – მტრის დივერსიები, მოსახლეობის აწიოკება, მასობრივი დახვრეტები და ა.შ.

იხ. 12 გვ.

◎ ინფორმაცია

## ბიწაძის კიდევ ერთი თანამშრომელი დააკავეს

**ქრთამის აღების ფაქტზე სასაზღვრო პოლიციის კიდევ ერთი თანამშრომელი დააკავეს. შსს-ის გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის, ჯონი ოთარაშვილის განცხადებით, დაკავებულია ლაგოდეხის სასაზღვრო სექტორის კონტროლიორი მირიან დვალი, რომელმაც დაზიანებული პასპორტით საზღვრის უპრობლემოდ გადაკვეთაში დახმარების სანაცვლოდ მოქალაქისგან ქრთამის სახით 25 ლარი აიღო.**

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით მიმდინარეობს.

დაკავებულმა დანაშაული უკვე აღიარა. დანაშაული 7-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

## ღვალაძე ზამთარს იმედიანად ხვდება

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ირაკლი ღვალაძე იმერეთის ყველა რაიონის მერებსა და გამგებლებს შეხვდა.**

თათბირი იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა. მინისტრმა ირაკლი ღვალაძემ თათბირის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საუბარი ზამთრის სეზონის მოახლოვებას უკავშირდება და ამისათვის შესაბამისი მომზადების შესახებ თავის გეგმები რაიონის ხელმძღვანელობას გააცნო.

მისივე თქმით, წინა წელთან შედარებით წელს სამინისტრო უფრო მომზადებული შეხვდება ზამთარს, რაც სოფლის სკოლების შეშით მომარაგებას გულისხმობს.

## საჩუქრები სოციალურად დაუცველ ოჯახებს

**ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ბოზოხიძემ სოციალურად დაუცველ ოჯახებს საჩუქრად ტელევიზორები გადასცა. დეპუტატის საჩუქარი ქუთაისში სულ 50-მა ოჯახმა მიიღო. მათ შორისაა ჩარხიანების მრავალშვილიანი ოჯახიც. მათ დეპუტატისგან ბავშვებისთვის სასკოლო ინვენტარი და ტანსაცმელიც მიიღეს.**

მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელის, ლევან კირკიტაძის თქმით, ამ აქციას არ ექნება ერთჯერადი ხასიათი და ის მომავალშიც გაგრძელდება.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

**2008 წლის 8 ნოემბერს 13 საათზე წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურში ჩატარდება აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს „ცხუნკური 97"-ის გაკოტრების მასაში შესული ქონება.**

**ქონების ჩამონათვალი:**

1. შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 206 კვმ. ამორტიზებული, ავარიულ მდგომარეობაში.
2. რკინის ჯართი – 3,5 ტ.
3. რკინის სასწორი – 5 ცალი.
4. რკინის ორფრთიანი ჭიშკარი – 2 ცალი.
5. ელექტროტრანსფორმატორი – 160 კვტ.

გასაყიდი ქონების ღირებულებაა 101 356, 11 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. მყიდველი ვალდებულია ქონების გასაყიდი ღირებულება დაფაროს აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგ. №33050001 მფო 220101757 კოდი 204856263.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: ნომერზე 893 54 70 72 გაკოტრების მმართველი.**

## ომი და ადამიანები

# რუსეთის მზაკვრობის მოლოდინში

(მეთერთმეტე გვერდიდან)

ჩემს ხელთ არსებული ზეპირი ინფორმაციით რუსებმა სამხრეთ ოსეთში. იმ ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, ჩვენი ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ცხინვალის რეგიონის დასახლებულ პუნქტებსა და გორში, მის მიმდებარე დასახლებებში სწორედ ეს მეთოდი გამოიყენეს. უმეტეს შემთხვევებში რუსები თავიანთ ჯარისკაცებს ოსი ბოევიკების ფორმებს აცმევდნენ და ქართველებს ახვრეტინებდნენ, მათ სახლებს აძარცვინებდნენ.

ზოგიერთ ოსურ სოფელში და დასახლებულ პუნქტში ქართული არმიის ფორმაში გადაცმული რუსი ჯარისკაცები სჩადიოდნენ საზიზღრობებს. საბოლოოდ მათ მიზანს მიაღწიეს.

მართალია, დღეს სროლა და ხოცვა-ჟლეტა აღარ არის, მაგრამ ომი არ დამთავრებულა. რუსეთის სპეცსამსახურებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ დივერსიული აქტების განხორციელება, რაც აუცილებლად სეპარატისტებს დაბრალდებათ. ყველაფერი ეს საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებლების შემოსვლას უკავშირდება. სწორედ სეპარატისტების ნიღაბს ამოფარებული რუსეთი შეეცდება მთელ მსოფლიოს დაანახოს, რომ დამკვირვებელთა მისია უმოქმედოა და აჯანყებულების დაშოშმინება მხოლოდ რფ-ს შეუძლია. პირველი რეპეტიცია მოსკოვმა უკვე გაიარა, როდესაც 8 აგვისტოს სამშვიდობო ძალების სარდალმა კულახმეტოვმა საქართველოს მთავრობას განუცხადა, რომ კოკოითის დაწყნარება მათ ძალებს აღემატებოდა.

თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკის მოსაზრებას ემთხვევა პარლამენტარ ლევან ვეფხვაძის აზრიც: „თუკი რუსეთმა დაინახა, რომ მისთვის ვითარება უარესდება, არ გამოვრიცხავ სხვადასხვა ტიპის პროვოკაციებს. გაუარესება კი ის იქნება, რომ თუ უცხოელმა დამკვირვებლებმა მოითხოვეს განთავსება არა პერიმეტრზე, არამედ კონფლიქტის ზონებში, ეს ნიშნავს, რომ რუსეთისათვის მდგომარეობა გაუარესდება“.

პოლიტოლოგები, ექსპერტები ერთხმად აღიარებენ, რომ ნებისმიერი სამხედრო კონფლიქტი ავტომატურად გამოიწვევს ევროკავშირის სამშვიდობო მისიის შეჩერებას, რადგანაც დამკვირვებლები არ არიან სამხედროები. ისინი სამოქალაქო პირები არიან. ამის გამო თავიანთ ზონებში უიარაღოდ განლაგდებიან. არ არის გამორიცხული აფხაზეთისა და ცხინვალის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ტერიტორიებზე პროვოკაციები თვით მისიის წარმომადგენელთა მიმართ. ყველაფერი ეს რუსეთის სცენარით გათამაშდება, მაგრამ შეასრულებინებენ ან დაბრალდებათ სეპარატისტებს!

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

# პატარა კუხში დედათა მონასტერი გაიხსნა

**6 ოქტომბერს, ხონის რაიონის სოფელ პატარა კუხში წმინდა ნიკოლოზის სახელობის დედათა მონასტერი გაიხსნა.**

სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა რუსეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა, წარმოშობით ხონელმა, ბადრი კაკაბაძემ დააფინანსა.

34 მეტრი სიმაღლის გუმბათოვანი ეკლესიის კურთხევას ადგილობრივი მრევლი დაესწრო.

**ჯი-ეიჩ-ენი**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს.

— ჭამის წინ ლოცულობ?

— რა საჭიროა, ჩემი ცოლი საჭმელს კარგად ამზადებს.

* * *

ორი „დობილის“ საუბრიდან:

— ნუ დამიმალავ, ჩემს ქმართან დაწვებოდი?



— ალბათ, არა.

— რატომ?

— ის ხომ არაფრით სჯობს ჩემს ქმარს!

— ოჰ, მეც ასე მგონია!

* * *

განცხადება:

მარტოხელა მამაკაცი ეძებს სიყვარულს, ალერსს, გაგებასა და ცოტაოდენ ჩასახეთქსაც.

* * *

— ჩემი ცოლი ყეყეჩია, ნამდვილი იდიოტი!

— რაო, პატარა ხელფასი აქვს?

— არა, ოთხჯერ ჩემზე მეტი.

— ალბათ საჭმლის გაკეთება არ იცის?

— არაჩვეულებრივად ამზადებს, ზოგჯერ რესტორნისასაც კი სჯობია.

— ალბათ მანქანას ვერ ატარებს?

— აბა, რას ამბობ? მე ნებართვა საერთოდ არა მაქვს. საჭესთან მხოლოდ ის ზის.

— ალბათ დაბალი ინტელექტი აქვს?

— ერთი შენც, მეცნიერებათა დოქტორია.

— მაშ, რატომაა ყეყეჩი.

— ერთი უნდა გენახა, გუშინ დომინო როგორ მოვუგე.

* * *

ცოლი — ქმარს:

— ძვირფასო, მე ახლა შენ ძალზე ბედნიერს გაგხდი.

— აბა, რას ამბობ, ძალიან დაგვაკლდები!

* * *

— შენ ქმარს რა დაემართა?

— არაყმა საფლავის კარამდე მიიყვანა.

— რა, გალოთდა?

— არა, არყის სახდელი აპარატი აუფეთქდა.

* * *

კადრების განყოფილებაში:

— რამდენ ხანს იმუშავეთ ბოლო სამუშაოზე?

— თხუთმეტი წელი.

— მშვენიერია, მაგრამ რატომ წამოხვედით იქიდან?

— ვადა გამითავდა!

* * *

მაღაზიაში:

— კანფეტი „ძროხის ფრთები“ გაქვთ?

— რა სისულელეა!

— რაო, „ჩიტის რძე“ უკეთესად ჟღერს?

## ახალი წიგნები

# ვაჟას ღიმილი

**ამ დღეებში მკითხველებს მეტად საინტერესო წიგნი შესთავაზა გამომცემლობა „თანდგომა“ — ეს არის დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიიდან შერჩეული ცხოვრებისეული ეპიზოდების კრებული, სახელწოდებით „ვაჟას ღიმილი“.** მასში წარმოდგენილი პუბლიკაციების მიხედვით კარგად ჩანს პოეტის ჯანსაღი იუმორისა და სატირის ნიჭი. „სამწუხაროდ, დღემდე არ შექმნილა ვაჟა-ფშაველას ხალასი იუმორის წარმომჩენი სპეციალური კრებული და ჩვენში არსებული სწორედ ამ ხარვეზის შევსების ერთობ მოკრძალებულ მცდელობას ისახავს მიზნად წინამდებარე გამოცემა“ — გვამცნობს წიგნის წინათქმაში კრებულის შემდგენელი მეცნიერ-მკვლევარი გიორგი გაბუნია.

„იუმორს გაგება, შეგნება უნდა“ — წერდა ვაჟა. ვფიქრობთ, ამ კრებულის წამკითხველი „გაიგებს“ და „შეიგნებს“ დიდი მგოსნის სატირისა და იუმორის მადლსა და ძალას, ვაჟას ღიმილის „საიდუმლოებას“.

შემოგთავაზებთ ერთ- ერთ ნიმუშს: „შემოდგომის ერთ დღეს, ვაჟას ჩარგლის მახლობელ სოფელში გაუვლია, სადაც იმ დროს ქორწილი ყოფილა გაჩაღებული. სულმნათი მგოსანი დაუპატიჟებლად მიდგომია მექორწილეებს და ვიდრე ცხენიდან ჩამოვიდოდა, მასპინძლებისთვის ექსპრომტად უთქვამს:

**„არ დამპატიჟეთ, ფშავლებო,**
**ფშავ-ხევსურეთის პოეტი,**
**ჩარგლის მთა ამოვიარე**
**თქვენთან ქორწილში**
**მოვედი,**
**თუ სიყვარული არ იცით,**
**ქალს როგორ**
**გაათხოვებდით!“**

ცხადია, ვაჟა მონადიმეებმა დიდი სიხარულით მიიღეს და კარგადაც მოალხინეს.

ეს წიგნი გამოვიდა, როგორც




ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმისა და სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ გამოცემა.

**რედაქტორია ლელა რაზიკაშვილი.**

სასიამოვნო ფაქტია, რომ კრებული უხვად არის დასურათებული ვაჟა-ფშაველასა და მისი ოჯახური გარემოს ამსახველი ცნობილი თუ დღემდე უცნობი ფოტომასალებით.

**ხვთისავარ არჩემაშვილი**

**ძვირფასო მკითხველო!**

**ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.**

იმეილი: sakresp@ayety.ge

ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.